ახალი განათლება

21-27.03.2019

№9-10 (843-844) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ეს არის ბოლო შანსი, რომ ვითარება გამოსწორდეს

თამარ ჯაყელი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და სასკოლო განათლების განვითარების დეპარტამენტის ექსპერტი: „ჩვენ ვმუშაობთ პროგრამაზე, რომელსაც „ახალი სკოლის მოდელი“ ჰქვია და რომელიც დღეს უმთავრესი პროგრამაა ზოგადი განათლების ფარგლებში. დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდ შედეგებზე გავალთ გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ეს საზოგადოებას ჰგონია. ამ პროგრამის ირგვლივ გაერთიანდა სამინისტროს ყველა სტრუქტურული ერთეული, რომელიც აქამდე ძირითადად, დაშლილი და დაქსაქსული იყო. განათლების სისტემა უფრო ურჩ საფეოდალოებს ჰგავდა, სადაც ყველა სტრუქტურული ერთეული თავის კორპორაციულ ინტერესებს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე საერთო საქმეს. ერთიანობა იყო სრულიად ფორმალური. შესაბამისად, პროგრამის ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციებიც ჰარმონიზებულია და სისტემური. ამჟამად, თანადროულად და ურთიერთდაკავშირებულად ვმუშაობთ ხუთ მიმართულებაზე. რა მიმართულებებია ეს? **პირველი** – სასკოლო კურიკულუმის განვითარება. სასკოლო კურიკულუმი არის მოსწავლის განვითარების გზის გეგმა. აქ დიდი ცვლილებები მოხდა. რატომ? მოგეხსენებათ, რომ ფსიქოპედაგოგიკაში – მეცნიერებაში, რომელიც გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება, შეიძლება გამოვყოთ 4-5 ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპი. ეს პრინციპები სკოლაში არ ინერგებოდა, რის გამოც ვერ ხორციელდებოდა ცოდნის სტრუქტურების განვითარება. ინფორმაცია მართლაც რომ იქცეს ცოდნად, მისი კოგნიტურ სტრუქტურებში ინტეგრირება უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, იყო სრულიად ზედაპირული სწავლება – ისევე გადადიოდა ეს ზედაპირული, ზერელე ცოდნა ბავშვის თავზე, როგორც წყალი გადადის იხვის ბუმბულოვან საფარზე, ამ ცოდნის შეღწევა არ ხდებოდა ცნობიერების ღრმა შრეებში. როდესაც ცოდნა არ არის ორგანული, მას ძალა არ აქვს, ამ ცოდნას ჩვენ ვერ ვიყენებთ. სწორედ ამ პრინციპებს დავაფუძნეთ სასკოლო კურიკულუმი და ეს პრინციპები შეითვისეს მასწავლებლებმა. შესაბამისად, გვაქვს გარანტია, რომ **საკლასო ოთახში ბავშვების „გონებრივი საამქროები“ ამოქმედდება** ისევე, როგორც 150-ე სკოლაში ამოქმედდა (იგივე უნდა მოხდეს ახლა 50 სკოლაში). ის შესაძლებლობები, რომლებიც ბუნებრივად დევს ჩვენს კოგნიტურ სისტემაში, უსაზღვროა და თუ ამოქმედდება, გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

მეორე მიმართულებაა წინსვლაზე და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნა. ეს კონცეფცია და სისტემა შექმნილია და 50 სკოლაში მოქმედებს. ეს იქნება არა კონტროლი და შეფასება განაჩენის გამოსატანად, არამედ კონტროლი და შეფასება დახმარებისათვის, წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად – სკოლა ნახავს მეოთხე, მეექვსე, მეცხრე კლასებში რა პრობლემებია თითოეულ საგანში, რომელ ბავშვს რა უჭირს და შესაბამისად შევძლებთ მიზანმიმართული ინტერვენციების განხორციელებას. სკოლებს შევაფასებთ, როგორც ერთიან გუნდს და არა ცალკეულ მასწავლებელს. სკოლის წინსვლის კოეფიციენტის მიხედვით გავზომავთ როგორია კონრეტული სკოლის წინსვლა წინა წლის მონაცემებთან შედარებით. წინსვლის დანახვა შიგნიდან გააააქტიურებს თვითონ სკოლას, როგორც გუნდს, გაზრდის შინაგან მოტივაციას და გასაქანს მისცემს დათრგუნულ შესაძლებლობებს. ჩვენ გვქონდა მიდგომები, რომლებმაც ჩაკეტა ადამიანებში – მოზრდილებსა და მოზარდებში – შინაგანი შესაძლებლობები. ახლა შევქმენით სისტემა, რომელიც ამ შესაძლებლობებს გახსნის, მოქმედებაში მოიყვანს, რაც წარმატების მომტანი იქნება.

წელს სკოლებში 57 ათას პირველკლასელს ელოდებიან

2019 წლის 16 სექტემბერს სკოლაში მხოლოდ ის ბავშვები შევლენ, ვინც ამ დღეს უკვე ექვსი წლის იქნება. მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე** ამბობს, რომ ამ მიმართულებით არანაირი ცვლილება არ იგეგმება.

წელს პირველ კლასში შესვლას 16 სექტემბერს დაბადებული ბავშვებიც შეძლებენ, რადგან, ახალი სასწავლო წელი, კანონში არსებული ჩანაწერის თანახმად, 2019 წლის 16 სექტემბერს, ორშაბათს დაიწყება, 15 სექტემბერი დასვენების დღეს ემთხვევა.

უკვე ცნობილია 2019-2020 სასწავლო წლისთვის სკოლაში მისაღები ბავშვების კონტინგენტი – წელს სკოლებში 57 ათას პირველკლასელს ელოდებიან, მისაღები ადგილების რაოდენობა კი საჯარო სკოლებში, მინისტრის მოადგილის განცხადებით, 59 ათასამდეა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, 2019-2020 სასწავლო წლისათვის, პირველკლასელთა რეგისტრაციის წესში ცვლილებები შევიდა.

I ეტაპი – 2019 წლის 25 მარტს დაიწყება და 5 აპრილს დასრულდება (სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების რეგისტრაცია);

II ეტაპი – 2019 წლის 2 მაისიდან 17 მაისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი. დარეგისტრირდებიან ის ბავშვები, რომელთა და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში, რომელთა მშობელიც სკოლის თანამშრომელია, რომელთა ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში;

III ეტაპი – საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია, 2019 წლის 21 მაისიდან დაიწყება და 12 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. ამ ეტაპზე შესაძლებელია იმ ბავშვების რეგისტრაცია, ვინც სკოლაში შესვლის ასაკს აკმაყოფილებს. ასევე იმ მოსწავლეების, რომლებიც ვერ დარეგისტრირდებიან პირველ და მეორე ეტაპზე. რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე – www.emis.ge – ელექტრონულად;

IV ეტაპი – 2019 წლის 25 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით სკოლაში განხორციელდება. ამ ეტაპზე განთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე ის მოსწავლეები დარეგისტრირდებიან, რომლებიც I, II და III ეტაპებზე ვერ დარეგისტრირდნენ ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.

მოკლე ციკლის პროგრამები

კანონის საფუძველზე დადგინდა მოკლე ციკლის პროგრამები, რაც საბაკალავრო საფეხურის 3 წლამდე და მაგისტრატურის 1 წლამდე შემცირებას ითვალისწინებს, თუმცა, მისი ამოქმედება წელს არ იგეგმება. *„კანონის საფუძველზე ეს უკვე დადგენილია, მოკლე ციკლის პროგრამები განხორციელდება, მათ შორის პროფესიულის საფუძველზე. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა უცხოელ ექსპერტებთან და ხარისხის განვითარების ცენტრთან. მოგეხსენებათ, საქართველოს განათლების ხარისხის მიმართულება გადის საერთაშორისო შეფასებას, ველოდებით დასკვნას. ამის შემდეგ დაიგეგმება ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებები. რაკი წელს ეს არ მოხდება, არც კონკრეტული ფაკულტეტები ვიცით, რომლებსაც ცვლილება შეეხება“* – განაცხადა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ.**

მისივე თქმით, სულ მალე, ძალაში შედის ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომლის დამტკიცების შემდეგაც, ექსპერტებთან შეთანხმებით, შემუშავდება რეკომენდაციები, რომელი ფაკულტეტები დაექვემდებარება მოკლე ციკლის პროგრამით კვალიფიკაციების მიღებას.

საზღვარგარეთ უნივერსიტეტი, პირველ რიგში, კვლევითი ცენტრია

გვესაუბრება
დავით ჯინჭარაძე,
აბუ-დაბის ნიუ-იორკის
უნივერსიტეტის სტუდენტი

გვერდი 3

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

მიმართულება – სოციალური მეცნიერებები

დარგი/სპეციალობა – ფსიქოლოგია

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

სამართლის ფაკულტეტი

საჯარო სამართლის კათედრა

მიმართულება – სამართალი

დარგი/სპეციალობა – საერთაშორისო სამართალი

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

მიმართულება – სამართალი

დარგი/სპეციალობა – სისხლის სამართალი

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

მიმართულება – სამართალი

დარგი/სპეციალობა – საჯარო სამართალი

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული

საბუთების მიღება იწარმოებს
2019 წლის 15 აპრილიდან 2019 წლის 25 აპრილის ჩათვლით,
ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა,
10 საათიდან 16 საათამდე.
კონკურსი ჩატარდება 2019 წლის 14 მაისს.
კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები
გამოქვეყნდება 2019 წლის 20 მაისს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ
უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gtuni.edu.ge
ან დარეკოთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 90; 2 24 65 91.

სიახლე

გამოვიდა ორი წიგნი – **ლია გოგოხიას აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ სწავლებისათვის (მეთოდური მითითებანი), თბილისი, 2019წ** და **ლეილა ხონელიძის „სიტყვათა ყულაბის შესავსებად“, 0147, თბილისი, 2019წ.**

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა პუბლიკაციებს, რომლებიც საგანგებოდ მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის შეიქმნა და ვიმედოვნებთ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ელექტრონული ვერსიები იხილეთ – **წიგნის სამყარო (ელბიბლიოთეკა)**

ლია გოგოხიას – აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ სწავლებისათვის (მეთოდური მითითებანი), თბილისი, 2019წ

https://drive.google.com/file/d/1q4tFN9HSvETRSFgEJpfRcEJhjxNolr1w/view?fbclid=IwAR2bygrPhanWjbmTp5qoWPR2v1AVNDyPDCc-XidLJnlM2r9B20DLrtQQJAQ

https://www.facebook.com/groups/1379408388981155/2135096363412350/?comment_id=2135096760078977&notif_id=1552624112226058&notif_t=group_comment_mention

ლეილა ხონელიძე – სიტყვათა ყულაბის შესავსებად, თბილისი, 2019

https://drive.google.com/file/d/1jsX-D4wNaSQWhPrhnhys-wVh2scV1z-M/view?fbclid=IwAR17G9PouYXkOo5mB1YAQzqQQZhIwflBwGavUmxPORwtWUHk92-X7FZrgUM

ინფორმაცია

კერძო სექტორი და პროფესიული განათლება

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის აქტიური ჩართულობის ახალ მექანიზმსა და პროფესიული კოლეჯების მართვის ახალ მოდელზე მუშაობს. პროექტის ფინანსური მხარდამჭერი ბრიტანეთის მთავრობაა. ამ საკითხზე მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ირინა წეროძე, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი: *„დაიწყო პროექტი, რომელიც მარტის ბოლოს დასრულდება და კერძო სექტორის ჩართულობის ახალ მექანიზმს შემოგვთავაზებს. ეს მექანიზმი გულისხმობს სწორედ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ახალ მოდელს, რომელშიც კერძო სექტორი აქტიურად იქნება ჩართული.“*

მიხეილ ბატიაშვილი ამბობს, რომ „პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. *„ჩვენი ხედვით, მათ გარეშე შეუძლებელია ისეთი პროფესიული პროგრამების შემუშავება, რომლებიც სამუშაო ადგილების შექმნასა და სწრაფ დასაქმებაზეა ორიენტირებული. კერძო სექტორის მაქსიმალური ჩართულობის რამდენიმე კარგი მაგალითი უკვე გვაქვს, კერძოდ, ზუგდიდში სტუმარმასპინძლობის სასწავლებელი გაიხსნება, რაც ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშია“.* მისივე თქმით, სამინისტროს თანამშრომლობა კომპანიებთან გრძელდება როგორც დასაქმების, ასევე ახალი პროგრამებისა და სასწავლებლების დაფუძნების კუთხით.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზანია, რაც შეიძლება მეტ კომპანიას გაუჩნდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს პროფესიულ განათლებაში.

კონკურსი უფროსკლასელთათვის — 2019

კონკურსის მიზანი: საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების, მათი ოჯახის წევრების, პედაგოგებისა და ადგილობრივი თემის ჩართვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი სახალხო დღესასწაულების მოძიებასა და ფიქსაციაში.

ჩატარების ვადა: კონკურსი ტარდება 2019 წლის თებერვლიდან ივნისამდე. ინფორმაცია კონკურსის თაობაზე გავრცელდება გაზეთ „ახალი განათლებით“ და სხვა საინფორმაციო საშუალებებით. ასევე ელფოსტის საშუალებით მიეწოდებათ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს.

განხორციელების მეთოდოლოგია: პირველ ეტაპზე სკოლებმა ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com უნდა გადმოგზავნონ საკონკურსო მასალა, რომელიც შეიცავს ხალხური დღესასწაულის ზედმიწევნით ზუსტ აღწერას და დღესასწაულის ამსახველ ფოტომასალას (სასურველია აუდიო/ვიდეო).

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს – ინდივიდუალურად და ჯგუფურად, პედაგოგის ხელმძღვანელობით.

ექსპერტების კონსულტაციების გათვალისწინებით, შესწორებული და შერჩეული ტექსტური ფაილების მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამოსცემს ილუსტრირებულ კრებულს, რომელიც, სხვა სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად, გამარჯვებულ მოსწავლეებს საზეიმოდ გადაეცემათ.

„ჩემი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაზეთის „ახალი განათლება“, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის, თემაზე: **„ჩემი კუთხის ტრადიციული ხალხური დღესასწაულები“** (* არ იგულისხმება საეკლესიო კანონიკური დღესასწაულები).

კონკურსის მიზანია:

➢ გამოავლინოს და დააფიქსიროს დღემდე, ამჟამად ყოფაში არსებული და უხუცესების მეხსიერებაში შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი ხალხური დღესასწაულები;

➢ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

➢ დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

➢ ხელი შეუწყოს ძველი ქართული ხალხური დღესასწაულების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი

გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო ნამუშევრების წარმდგენნი გადავლენ მეორე ეტაპზე.

მეორე ეტაპი

მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეები, საჭიროებისამებრ, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან მათ.

კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალურად შექმნილი ჟიური.

საკონკურსო თემის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. Word-ის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ აღწერილი დღესასწაულის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (3-5), ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს თემასთან ერთად, მაღალი რეზოლუციის jpg ფორმატში და იყოს დასათაურებული;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (3-5), გადმოგზავნილს ასევე მაღალი რეზოლუციის jpg ფორმატით;

4. შეძლებისდაგვარად, დღესასწაულის ამსახველ აუდიო/ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებული იქნას მობილური ტელეფონით).

შესაძლებელია **ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლის თხრობის მიხედვით;**

შესაძლებელია მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად, საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

• კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com

• ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,

• ან მოგვაწოდოს ფოსტით, მისამართზე: თბილისი, 0105 თაბუკაშვილის ქ. №5. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“.

ნამუშევრის აღწერა:

ნამუშევარი შესრულებული უნდა იყოს Word Document ფაილში და უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერს:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *ხალხური დღესასწაულის დასახელება;*
2. ავტორი მოსწავლის/ეების – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი);*

6. ნიმუშის აღწერა.

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

• რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული დღესასწაული – *მოკლე განმარტება მის შესახებ;*

• სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

• ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ დღესასწაულში;*

• ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რა სეზონურობით ტარდება დღესასწაული;

• *რას უკავშირდებოდა აღნიშნული სახალხო დღესასწაული;*

• *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

• *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული სახალხო დღესასწაულის გამართვისათვის;*

• *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ელემენტის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*

• *ზედმიწევნით აღწერეთ სახალხო დღესასწაულის მსვლელობის პროცესი.*

სპეფიციკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნიმუშს შეიძლება ახლდეს შესაბამისი ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

გადმოგზავნის ვადაა 2019 წლის 25 აპრილი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში – 599 08 40 03
aramaterialuri@yahoo.com
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტო
მაკა თაქთაქიშვილი

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

საზღვარგარეთ უნივერსიტეტი, პირველ რიგში, კვლევითი ცენტრია

რუბრიკის სტუმარია აბუ-დაბის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტი დავით ჯინჭარაძე

– ბათუმის კერძო სკოლა-გიმნაზიაში „XXI საუკუნე“ გატარებული წლები შენს ბავშვობას უკავშირდება. რამდენად წარმატებული მოსწავლე იყავი, როგორ გახსენდება მასწავლებლები, განსაზღვრა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– გიმნაზიაში პირველი კლასიდან ვსწავლობდი, სკოლა არ შემიცვლია. ბებიაჩემი დაწყებითების მასწავლებელი იყო და მანამდეც დავყავდი ხოლმე სკოლაში. საქართველოს განათლების სისტემის დიდი გულშემატკივარი არ ვარ. ვთვლი, რომ ჯერ ძალიან ბევრი გვიკლია განვითარებამდე, მაგრამ ჩემი სკოლის მასწავლებლებს გამოვარჩევ. ასეთ განათლების სისტემაში, როგორიც საქართველოში გვაქვს, ყველაზე მნიშვნელოვანი თითოეულ მოსწავლესთან მასწავლებლის ინდივიდუალური მიდგომაა. ამიტომ, ჩემი გიმნაზიის მასწავლებლებს ძალიან ვაფასებ.

მახსოვს, ორი-სამი წლის წინ, პოლიტიკის შესწავლა მინდოდა უნივერსიტეტში. ჩემი სურვილი ბიოლოგიის მასწავლებელს გავანდე: პოლიტიკის შესწავლა მინდა-მეთქი, მიპასუხა – არა, შენ ბიოლოგიის, სამედიცინო სპეციალობების ნიჭი გაქვს და ამ გზას უნდა გაჰყვეო. მაშინ ძალიან სკეპტიკურად ვუყურებდი მის სიტყვებს. დღეს კი, როგორც აღმოჩნდა, მედიცინისათან საკმაოდ ახლო გზას ვადგავარ.

– FLEX - მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში გამარჯვების შემდეგ, ერთწლიანი პროგრამით, კალიფორნიაში სწავლობდი, როგორ გახსენდება ამერიკაში გატარებული პერიოდი?

– ფლექსში მონაწილეობის მიღება და შემდეგ გამარჯვება საზღვარგარეთ გამოცდილების მიღებისთვის და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამაა, რაც ევრაზიაში არსებობს. დღეს უკვე ბუნდოვნად მახსოვს ფლექსის გავლის პროცესი, თუმცა ჩემი ამერიკული წელი და მის შემდეგ განვითარებული მოვლენები ყოველთვის მემახსოვრება.

როდესაც პირველად მოხვდები საზღვარგარეთ, თან ერთი წლით და თან – უცხო კონტინენტზე, ენით აღუწერელი განცდები გეუფლება. მახსენდება, რომ ჩემი დიდი ბაბუაც იყო ამერიკაში ემიგრანტი და სულ ვფიქრობდი – ნეტავ როგორ გრძნობდა თავს უცხო ქვეყანაში, მით უმეტეს, როდესაც ამდენი ბარიერი ჰქონდა, მათ შორის, ენის.

ჩემთვისაც, ეს ერთი ამერიკული წელი ბარიერების მსხვრევის და გარკვეული უნარ-ჩვევების განვითარების წელიწადი იყო. გამოცდილება, რაც მაშინ მივიღე, გაცილებით მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი იყო, ვიდრე სან-ფრანცისკოსა და ლოს-ანჯელესის გადაჭედილი ქუჩები.

– პროგრამამ საშუალება მოგცა, გაცნობოდი ამერიკული სკოლის სპეციფიკას. რა მსგავსება და განსხვავებაა ქართულ სკოლასა და ამერიკულს შორის, გაგვიზიარე ამერიკულ სკოლაში მიღებული შთაბეჭდილებები.

– ამერიკული განათლების სისტემა ძალიან განსხვავდება ქართულისგან. პირველი განსხვავება ის არის, რომ საგნებს ირჩევს უშუალოდ მოსწავლე. მეც მქონდა საშუალება, ამერჩია ისეთი საგნები, როგორიცაა კრიმინოლოგია, ამერიკის ისტორია და ა.შ. ამ საგნებს საქართველოში ვერ შევისწავლიდი. მეორე, საკმაოდ საინტერესო განსხვავება ისაა, რომ ამერიკულ სკოლებში მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს რთული (ეი-პი) და საშუალო დონის საგნებს შორის. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტები ე.წ. „ეი-პი“ საგნებს მეტი ყურადღებით განიხილავენ და უპირატესობასაც ანიჭებენ. მეც გართულებული დონის ქიმია და მსოფლიო ისტორია ავირჩიე.

– მოხალისეობის პროცესში ჩართვა FLEX-ის პროგრამის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. კერძოდ, რა საქმიანობას ეწეოდი და რა გამოცდილებას იღებს ადამიანი მსგავს საქმიანობაში ჩართულობით?

– პირადად მე ჩემი ქალაქის, კინგსბურგის მერიაში ვმოხალისეობდი და ვეხმარებოდი ადგილობრივ მთავრობას საქმეთწარმოებაში. ასევე, მივიღე მონაწილეობა რამდენიმე საქველმოქმედო ფესტივალში. ერთ-ერთ ასეთ ფესტივალში, გაცვლით სტუდენტებს, ეროვნული სამოსით გამოსვლის საშუალებაც გვქონდა და გადავწყვიტე ჩოხა მეჩვენებინა ამერიკელებისთვის. მართალია, ეს ყველაფერი პატარა ქალაქში ხდებოდა, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი დადიოდა საქველმოქმედო ღონისძიებებზე. ამან მაჩვენა, რომ საზოგადოების განვითარებისთვის ამავე საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგელობა. ამერიკა, სწორედ ასეთი ხალხისა და ეფექტური მთავრობის საფუძველზე განვითარდა.

– ვფიქრობ, კალიფორნიაში გატარებულმა პერიოდმა გიბიძგა უმაღლესი განათლებაც საზღვარგარეთ მიგეღო...

– დიახ, ნამდვილად ასეა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამერიკაში გატარებულმა ამ ერთმა წელმა შთამაგონა საზღვარგარეთ სწავლა. როდესაც მივხვდი, რომ საზღვარგარეთ კონკურენციაც უფრო მაღალია და საშუალებების უფრო ფართო სპექტრია, მომინდა, გამომეცადა სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში სწავლა. ამერიკაში ყოფნისას მენატრებოდა საქართველო და მაშინ არ მიფიქრია უცხო ქვეყანაში სწავლის გაგრძელებაზე, მინდოდა სხვა ქვეყანაში მესწავლა. თუმცა, მერე მივხვდი, რომ საქართველოში დავბრუნდები ყოველთვის, როცა მოვისურვებ, საზღვარგარეთ განათლების მიღება კი უნიკალური შანსია და თანაც ქართული საუნივერსიტეტო სისტემისგან მეტად განსხვავებული, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვა.

– დავით, აბუ-დაბის ნიუ-იორკის უნივერსიტეტში სასწავლებლად მილიონი დოლარის ოდენობის გრანტი მიიღე, რა ეტაპები გაიარე უნივერსიტეტში მოსახვედრად?

– არსებობს უნივერსიტეტები, სადაც მოხვედრა საკმაოდ რთულია, თუმცა თუკი მოხვდი, დაფინანსებაც უფრო სოლიდურია მე მხოლოდ მთლიანი დაფინანსება მაძლევდა იმის საშუალებას, მეცხოვრა ისეთ „ძვირიან“ ქალაქში, როგორიც აბუ-დაბია.

როდესაც უნივერსიტეტებს ვეცნობოდი, თვალში ნიუ-იორკის უნივერსიტეტი მომხვდა, რომელიც ისეთი გიგანტების გვერდით იდგა, როგორიცაა ჰარვარდი, იელი, პრინსტონი და ა.შ. ვიფიქრე, ეს საინტერესო შანსი იქნება-მეთქი. მითუმეტეს, რომ აქ თითქმის ყველა ქვეყნიდან სწავლობენ ახალგაზრდები და მხოლოდ ერთი კულტურა არ დომინირებს. როცა უნივერსიტეტის სამეცნიერო აღჭურვილობა დავათვალიერე, მივხვდი, რომ ვერც მსგავს შესაძლებლობას ვნახავდი. ამ უნივერსიტეტში მიმდინარეობს და ქვეყნდება თანამედროვე მეცნიერების სტანდარტებთან შესაბამისი კვლევები, რაც კიდევ უფრო, მომხიბვლელი აღმოჩნდა ჩემთვის.

– რა პროფესიას ეუფლები უნივერსიტეტში, რამდენწლიანია სწავლა, რამდენად რთული იქნება სტიპენდიის შენარჩუნება, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები და აპირებ თუ არა არაბული ენის შესწავლას?

– თუკი სტიპენდია ერთხელ მიიღო მოსწავლემ, ის მთელი ოთხი წლის განმავლობაში გაჰყვება, დამაკმაყოფილებელი დონის შენარჩუნების შემთხვევაში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უფასო ტრანსპორტირება (მაგ. სავაჭრო ცენტრებში, რელიგიური თავშეყრის ადგილებში და მათ შორის, ბერძნულ მართლმადიდებლურ ტაძარშიც), კვება და ცხოვრების ხარჯებიც მთლიანად დაფარულია. ასევე, წელიწადში ორჯერ უნივერსიტეტი ფარავს სახლში დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთების ხარჯებს.

გამომდინარე იქედან, რომ ამ ქვეყანაში არაბების დიდი ნაწილიც კი ინგლისურად საუბრობს, ამ ეტაპზე არაბულის შესწავლას არ ვაპირებ, თუმცა არ გამოვრიცხავ. უბრალოდ, დღევანდელი გადმოსახედიდან, ჩემს კარიერულ მიზანს სხვა სახის საგნები სჭირდება. ვფიქრობ, სწავლა და მუშაობა გავაგრძელო ნეირობიოლოგიის ან ნეიროფსიქოლოგიის სფეროში. ამიტომ, ამჟამად ვსწავლობ ფსიქოლოგიას ტვინის მეცნიერების კონცენტრაციით. ეს არის ერთგვარი ფაკულტეტი ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, რომელიც მოიცავს ბიოლოგიის ელემენტებსაც მათთვის, ვისაც ნეირომეცნიერების შესწავლა უნდა, ძალიან კარგი შესაძლებლობაა.

ამჟამად, ერთ-ერთი პროფესორის ნეირომეცნიერების ლაბორატორიაში ვიძენ გამოცდილებას. კლასის გარეთ, დამატებით ვიკვლევთ და ვსაუბრობთ ადამიანის ცნობიერებასა და მეხსიერებასთან დაკავშირებულ საკითხზე და სირთულეებზე. პირველი კურსისთვის საკმაოდ კარგი შესაძლებლობაა და ვცდილობ, მაქსიმალურად გამოვიყენო.

– როგორი დამოკიდებულებაა აბუ-დაბის უნივერსიტეტში ლექტორსა და სტუდენტებს შორის?

– ლექტორებსა და სტუდენტებს შორის არც თუ ისე ფორმალური დამოკიდებულებაა. რა თქმა უნდა, ყველამ იცის საკუთარი როლი. აქ ლექტორები კარგად აცნობიერებენ, რომ ჩვენ ბავშვები აღარ ვართ. თუ არ სწავლობ, შენი არჩევანია, თუ სწავლობ და ლექციას გააცდენ, ამისთვის არავინ გისაყვედურებს. მაგრამ როგორც ყველგან, აქაც არსებობენ პროფესორები, რომლებიც მოგწონს და რომლებიც დიდად არ გხიბლავს. ერთი განსხვავება ისაა, რომ აქ ბევრი წარჩინებული მეცნიერი და პოლიტიკოსი ასწავლის. ახლახან, ჩვენთან, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი მაიკ პომპეოც ჩამოვიდა.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს საზღვარგარეთ მიღებულ განათლებას ქართულთან შედარებით?

– განსხვავება იმდენია, რომ ჩამოთვლას დიდი დრო დასჭირდება. თუმცა გამოვყოფ ერთ, მთავარ განმასხვავებელ ფაქტორს. აქ, საზღვარგარეთ, უნივერსიტეტი, პირველ რიგში, კვლევითი ცენტრია. უნივერსიტეტის პრესტიჟი სხვა ბევრ ფაქტორს შორის დამოკიდებულია მის მიერ ჩატარებული და გამოქვეყნებული კვლევების რაოდენობაზეც. თუ მეცნიერი ხარ, მეოთხე კურსზე უკვე მოგეთხოვება, საკუთარი კვლევის ჩატარება, რასაც უნივერსიტეტი გიფინანსებს. მთავარია, შეძენილი ცოდნა მეცნიერების განვითარებას მოახმარო და პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც შეიძინო.

– როგორია შენი პირველი შთაბეჭდილებები, რა შეგიძლია გვიამბო ქალაქ აბუ-დაბის შესახებ, რამდენად შეეგუე ახალ გარემოს... სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

– ახალ გარემოს დღითი დღე ნელ-ნელა ვეგუები. აქაურობა ძალიან განსხვავდება ბათუმისგან. ეს ქალაქი ბევრად დიდია, რამდენიმე კუნძულს მოიცავს. ტრანსპორტის მთავარი საშუალება ტაქსია. მართალია, გაერთიანებული საემიროები არაბული ქვეყანაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს ჩვენი ახლოაღმოსავლური ქვეყნის სტერეოტიპს. ეს გაცილებით განვითარებული ქვეყანაა, საქართველოსგან ბევრად განსხვავებული და საინტერესო, რომელსაც თითქმის მივეჩვიე.

– რა შეგიძლია ურჩიო თანატოლებს, რომლებსაც საზღვარგარეთ სწავლის მიღების სურვილი აქვთ?

– ვურჩევ, პირველ რიგში, საკუთარი თავის რწმენა იქონიონ და ეცადონ, სკოლის გარეთ, ბევრი იკითხონ. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ დასავლეთში გაცილებით უფრო დიდი კონკურენციაა, ვიდრე საქართველოში. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა, განათლების სისტემით, ბევრ სხვას ქვეყანას ჩამოუვარდება, თუმცა ჩვენი მასწავლებლები (ამის მაგალითი ლადო აფხაზავა) და მოსწავლეები არავისზე ნაკლებად ნიჭიერები არ არიან. პირიქით, თუ ქართველ ახალგაზრდებს დასავლური სტანდარტების განათლების მიღების საშუალება მიეცემათ, ისინი არნახულ შედეგებს მიაღწევენ. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ გენეტიკასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია რა პირობებშია გაზრდილი ახალგაზრდა. თუკი ახალგაზრდებს სწავლის ინტერესს გავუღვივებთ და ინდივიდუალური აღმოჩენებისკენ ვუბიძგებთ, აი, სწორედ მაშინ შეგვეძლება დასავლური სტანდარტის მიღწევა.

– მომავალი როგორ გესახება... რა გეგმები გაქვს?

– მინდა, დრო ნეირობიოლოგიის ან კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის შესწავლას დავუთმო. ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, კონკრეტულად რომელ სფეროს ავირჩევ ამ ორიდან, თუმცა ადამიანის ტვინის მუშაობა სულ უფრო და უფრო მხიბლავს და მაინტერესებს. მინდა, ცხოვრების დიდი ნაწილი დავუთმო კვლევას და კლინიკურ პრაქტიკას, თუმცა ასევე მსურს, ბევრი სხვადასხვა გამოცდილება მივიღო. მინდა ვიმოგზაურო, გავაგრძელო სწავლა საზღვარგარეთ, მიღწევები მეცნიერებაში საკუთარ ქვეყანას მოვახმარო – სხვა შემთხვევაში, ჩემს საზღვარგარეთ სწავლას აზრი არ აქვს.

ესაუბრა მაკა ყიფშიანი

Hüquqşünas məsləhəti

Müəllimin karyera inkişafı sxemi ilə 60 kreditlik proqramın keçilməsi imkanı müəyyən edilmişdir. Müəllim onu hansı halda keçməlidir?
Müəllimin hazırlıq təhsil proqramını keçməsi nəticəsində ona müəllimlik hüququ verilir. Milli Tədris Planına uyğun fənn və ya fənn qrupu üzrə akademik dərəcələri olan bakalavr, magistr və ya bunlara bərabər tutulan akademik dərəcəyə malik şəxslər müəllimlik hüququnu əldə etmək üçün ali təhsil müəssisəsi tərəfindən həyata keçirilmiş müəllimin hazırlıq təhsil proqramını nailiyyətlə keçməlidirlər.

Bildiyimiz kimi, karyera inkişafı sxemində önəmli dəyişikliklərin həyata keçirilməsi planlaşdırılır. Cari mərhələdə təcrübəçi müəllim statusunu artırmaq üçün hansı fəallıqları həyata keçirməlidir?
Cari mərhələdə təcrübəçi müəllimlər statusu dəyişdirmək üçün eyni fəallıqları həyata keçirməlidirlər, xüsusilə də 19 kredit bal qazanmalıdırlar. Müvafiq olaraq, 2018-2019-cu dərs ilinin sonuna qədər onlar üçün heç nə dəyişməyəcəkdir.

Məktəb öz təşəbbüsü ilə şagirdə konkret fənn üzrə imtahan təyin edə bilərmi?
Milli Tədris Planı izah edir ki, ümumi təhsil sistemində semestr və illik imtahanların keçirilməsi mümkündür, amma semestr imtahanı şagirdin daha yüksək qiymətləndirməyə layiq olduğunu düşündüyü halda təyin edilir. İllik imtahanın keçirilməsinə gəldikdə isə, onun keçirilməsinə, məktəbin dərs planı ilə nəzərdə tutulduğu halda icazə verilir.

Sinif rəhbəri b.a. valideynlərin ümumi iclasında şagirdlərin akademik qiymətləndirmələri elan edə bilərmi?
Konkret şagirdin akademik nailiyyətləri və qiymətlərinin onun qanuni nümayəndəsindən başqa şəxslə müzakirəsinə yol verilmir, çünki qeyd edilən məlumat şagirdin fərdi məlumatına aid edilir.

İctimai məktəb müəllimləri əmək haqqı ilə birlikdə təqaüd alırdılar, toplanılan təqaüd islahatı çərçivəsində müəllim əmək haqqı ilə yanaşı təqaüdə əlavəni də ala bilərmi?
Cari mərhələdə bu cəhətdən qanun hər hansı bir məhdudiyyəti nəzərə almır, müvafiq olaraq şəxsin hüququ var ki, əmək haqqı ilə yanaşı təqaüdə əlavəni də alsın, amma bu halda onun tərəfindən təqaüd ödənişi kəsilir və yalnız buna qədər yığılmış məbləğdən təqaüd əlavəsini ala bilər.

Material Gürcüstan Müəllimləri və Alimlərinin Azad Həmkarlar İttifaqının hüquqşünası Meqi Sakandelidze tərəfindən hazırlanmışdır

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

იურისტის კონსულტაცია

მასწავლებლის კარიერული განვითარების სქემით განსაზღვრულია 60-კრედიტიანი პროგრამის გავლის შესაძლებლობა. რა შემთხვევაში სჭირდება პირს მისი გავლა?
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად პირს ენიჭება მასწავლებლობის უფლება. ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი, მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად, ესაჭიროებათ წარმატებით გაიარონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

როგორც ვიცით, კარიერული განვითარების სქემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება იგეგმება. მიმდინარე ეტაპზე რა აქტივობები უნდა განახორციელოს პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, რომ აიმაღლოს სტატუსი?
მიმდინარე ეტაპზე პრაქტიკოსი მასწავლებლები სტატუსის ცვლილებისთვის ვალდებულნი არიან, განახორციელონ იგივე აქტივობები, კერძოდ, უნდა დააგროვონ 19 კრედიტქულა. შესაბამისად, 2018-2019 სასწავლო წლის ბოლომდე, მათთვის არაფერი იცვლება.

შესაძლებელია თუ არა სკოლამ, თავისი ინიციატივით, მოსწავლეს დაუნიშნოს გამოცდა კონკრეტულ საგანში?
ეროვნული სასწავლო გეგმა განმარტავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შესაძლებელია ჩატარდეს სემესტრული და წლიური გამოცდები, თუმცა სემესტრული გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. რაც შეეხება წლიურ გამოცდას, მისი ჩატარება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია სკოლის სასწავლო გეგმით.

შეიძლება თუ არა დამრიგებელმა ე.წ. მშობელთა საერთო კრებაზე გამოაცხადოს მოსწავლეების აკადემიური შეფასებები?
დაუშვებელია კონკრეტული მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და შეფასებების სხვა პირთან განხილვა გარდა კანონიერი წარმომადგენლისა, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს მოსწავლის პერსონალურ ინფორმაციას.

საჯარო სკოლის მასწავლებლები, შრომის ანაზღაურებასთან ერთად, იღებდნენ პენსიას. დაგროვებითი პენსიის რეფორმის ფარგლებში, შეუძლია თუ არა მასწავლებელს, შრომის ანაზღაურებასთან ერთად, მიიღოს საპენსიო დანამატიც?
მიმდინარე ეტაპზე კანონი რაიმე შეზღუდვას, ამ კუთხით, არ ითვალისწინებს, შესაბამისად, პირს უფლება აქვს, რომ შრომის ანაზღაურებასთან ერთად მიიღოს საპენსიო დანამატიც. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მის მიერ ყოველთვიური საპენსიო შენატანის განხორციელება წყდება, ანუ იგი ვეღარ გააგრძელებს თანხის დაგროვებას, თავად საპენსიო დანამატს კი მიიღებს მანამდე დაგროვებული თანხიდან.

მასალა მოამზადა
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტმა,
მეგი საკანდელიძემ

Իրավաբանի խորհրդատվություն

Ուսուցչի կարիերային առաջընթացի սխեմայով սահմանված է 60 կրեդիտանոց ծրագիր անցնելու հնարավորություն: Ո՞ր դեպքում է անձին անհրաժեշտ անցնել այն:
Ուսուցիչների պատրաստման կրթական ծրագիր անցնելուց հետո անձին շնորհվում է ուսուցչի իրավունք: Բակալավրի, մագիստրոսի կամ դրանց հետ հավասարեցված ակադեմիական աստիճան ունեցող անձանց, ովքեր ստացել են Ազգային ուսումնական պլանին համապատասխան առարկայի կամ առարկայական խմբի ակադեմիական աստիճան, ուսուցչի իրավունք ստանալու համար անհրաժեշտ է հաջողությամբ անցնել բարձրագույն կրթական հաստատության կողմից իրականացված ուսուցչի պատրաստման կրթական ծրագիր:

Ինչպես հայտնի է, կարիերային զարգացման սխեմայի մեջ պլանավորված է զգալի փոփոխությունների իրականացում: Ընթացիկ փուլում գործող ուսուցիչն ի՞նչ ակտիվություններ (ուսումնական գործունեություններ) պետք է իրականացնի, որպեսզի բարձրացնի իր կարգավիճակը:
Գործող ուսուցիչները ներկա փուլում կարգավիճակի փոփոխման համար պարտավոր են իրականացնել նույն ակտիվությունները, մասնավորապես պետք է հավաքեն 19 կրեդիտ-միավոր: Համապատասխանաբար, մինչև 2018-2019 ուսումնական տարվա վերջը նրանց համար ոչինչ չի փոխվում:

Հնարավո՞ր է արդյոք, որ դպրոցն իր նախաձեռնությամբ որոշակի առարկայից աշակերտին քննություն նշանակի:
Ազգային ուսումնական պլանը պարզաբանում է, որ հանրակրթական համակարգում հնարավոր է անցկացվեն կիսամյակային և տարեկան քննություններ, սակայն կիսամյակային քննություն նշանակվում է այն դեպքում, եթե աշակերտը համարում է, որ ինքն ավելի բարձր գնահատականի է արժանի: Ինչ վերաբերում է տարեկան քննությանը, ապա նրա անցկացումը թույլատրելի է այն դեպքում, եթե դա նախատեսված է դպրոցի ուսումնական պլանով:

Կարելի՞ է արդյոք, որ դասղեկը, այսպես կոչված, ընդհանուր ծնողական ժողովին հայտարարի աշակերտների ակադեմիական գնահատականները:
Անընդունելի է կոնկրետ աշակերտի ակադեմիական ձեռքբերումները և գնահատումները քննարկել այլ անձի հետ, բացի օրինական ներկայացուցչից, քանի որ տվյալ տեղեկատվությունը պատկանում է աշակերտի անհատական տեղեկատվությանը:

Հանրային դպրոցի ուսուցիչները աշխատավարձերի հետ ստանում են կենսաթոշակ: Կուտակային կենսաթոշակային բարեփոխման շրջանակներում ուսուցիչը կարո՞ղ է կենսաթոշակի հետ ստանալ նաև կենսաթոշակային հավելավճար:
Ընթացիկ փուլում այս առումով Օրենքը որևէ սահմանափակում չի նախատեսում, հետևաբար, անձն իրավունք ունի աշխատավարձի հետ մեկտեղ ստանալ նաև կենսաթոշակային հավելավճար: Սակայն, նման դեպքում դադարում է նրա կողմից կենսաթոշակային վճարումների կատարումը, այսինքն՝ նա այլևս չի կարողանա շարունակել գումարի կուտակումը, իսկ կենսաթոշակային հավելավճարը կստանա մինչ այդ կուտակած գումարից:

Նյութը պատրաստվել է Վրաստանի մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունների իրավաբան Մեգի Սականդելիձեի կողմից

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

გაკვეთილის გეგმა

გთავაზობთ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას სკოლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ტურქანა ქერიმოვას მიერ მე-11 კლასში ჩატარებული ღია გაკვეთილის გეგმას, რომლის თემა იყო საბჭოთა პერიოდის, კერძოდ 30-იანი წლების, აზერბაიჯანელი მწერლების შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა. მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ისაუბრეს რეპრესირებულ მწერლებზე, მათ შემოქმედებასა და იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაზე, რომლის მსხვერპლიც გახდა ბევრი ნიჭიერი ადამიანი.

„SOVET DÖVRÜ AZƏRBAYCAN ƏDƏBIYYATI“

Qaracalar kənd orta məktəbinin Azərbaycan dili və ədəbiyyatı müəllimi Kərimova Türkanənin „Ədəbiyyat“ fənni üzrə „Sovet dövrü Azərbaycan ədəbiyyatı“ mövzusunda (11-ci sinif) dərs planı

Məzmun xətti	• Sovet dövrü ədəbiyyatı
Dərsin məqsədi	• Sovet dövrü Azərbaycan ədəbiyyatı ilə tanışlıq. • Bu dövrün yazıçı və şairləri ilə tanışlıq.
Standart	• Yeni dövr Azərbaycan ədəbiyyatı haqqında sadə biliklər nümayiş etdirir • Xalqın mənafeyinin qorunmasında ədəbiyyatın rolunu dəyərləndirir
Dərsin sonunda şagirdlərin əldə edecəkləri nəticələr	• Azərbaycanın sovet dövrü ədəbiyyatı haqqında ümumi bilikləri nümayiş etdirilir • Sovet dovrü zamanı represiyya qurbanları olmuş şair və yazıçılarımızın müəyyənləşdirilməsi • Sovet dövrü şairləri və yazıçıları ilə tanışlıq
İnteqrasiyya	• Sinfilik prinsipi • Xəlqilik prinsipi • Qəzet və jurnallar
Dərsin tipi	• İnduktiv
İş forması	• Çütlərlərlə iş • Fərdi iş
İş həmləsi	• Müzakirə • Beyin həmləsi
Resurslar	• Dərslik • Kompyuter • Proyektor • Slide show

Dərsin gedişi

Refleksiya və qiymətləndirmə	Qiymətləndirmə meyarları / 5 / 4 / 3 / 2 / 1 Sovet dövrü Azərbaycan ədəbiyyatı haqqında ümumi bilikləri nümayiş etdirir. Həmin dövürdə yazmış və yaratmış ədəbiyyatçıların ideologiyasını təsvir edir. Azərbaycan ədəbiyyatında mühim yer tutmuş əsərlərin müəyyənləşdirilməsi.	4 dəqiqə
Motivasiya	Müəllim ardıcıllıqla 3 sual yönləndirir 1) sual Hansı şair və yazıçılarımız yeni dövrə ümid bəsləmişlər? 2) sual Yeni dövr ədəbiyyatçıları nəyi və nə səbəbə tənqid etmişlər? 3) sual Azərbaycan ədəbiyyatında realizmin baniləri və romantizmin baniləri • Romantizm deyəndə ağlınıza nə gəlir? • Realizm deyəndə ağlınıza nə gəlir?	10 dəqiqə
Tədqiqat aparılması və informasiya mübadiləsi	Müəllim Sovet dövrü Azərbaycan ədəbiyyatı haqqında slaydla qısa məlumatlar verir. Şagirdlərin bu dövr haqqında əldə etdikləri bilikləri möhkəmləndirilməsi üçün müzakirələr aparılır. • Müəllim şagirlərlə fərdi iş aparır • Hər bir şagirdin yeni dərs barəsində fikirləri və rəyləri soruşulur. • Fərdi suallar verilir 1) Nə üçün insanlar yeni sistemə ümid bəsləyirdilər? 2) Sovet dövrü Azərbaycan ədəbiyyatını neçə istiqamətə bölə bilərik? 3) Sovet ideologiyasi əsasında yaranmış ədəbiyyat haqqında nə deyə bilərsiz? 4) Sovet dövründə yaranan, lakin gerçəkliyi əks etdirməyə üstünlük verən ədəbiyyat haqqında nə deyə bilərsiz?	15 dəqiqə
İnformasiyanın müzakirəsi və təşkili	• Şagirdlərə təqdimat aparılır. • Müzakirə zamanı suallar yaranarsa onun da səsləndirilməsi üçün şərait yaradılır və cavablandırılması üçün imkan yaradılır.	10 dəqiqə
Ümumiləşdirmə və nəticə.	Sovet ədəbiyyatının Azərbaycan tarixində gələcək nəsillər üçün bu dövrün şair və yazıçıların önəmli rol oynadıqları qərarına gəlinir. Və tədqiqat suallarına cavab tapılır.	5 dəqiqə
Produktiv(yaradıcı) tədbiqetmə	Müəllim şagirdlərə ev tapşırığı verir: Represiyya qurbanları haqqında mətn hazırlayın.	1 dəqiqə

ПЕДАГОГТА ДАСАХМАРЕБЛАД

როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს შეფასებისა და თვითშეფასების უნარი

მიმართულება: ზოგადი პედაგოგიკა

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებით მოსწავლე, მასწავლებლის ნაკლები ჩარევით, მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს.

მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი წარმოადგინა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი. ამ მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად

ПЕДАГОГОТА ДАСАХМАРЕБЛАД ПРОГРАМЕБИС ДИРИТАДИ ДАНИШНУЛЕБАА, АСАХОС, РАМДЕНАД СწОРАД ფАСДЕБА МАСწАВЛЕБЛИС МИЕР МОСწАВЛИСТВИС МИцЕМУЛИ ДАვАЛЕБИС შЕСРУЛЕБА. შЕფАСЕБИСАС აქცენტი კეთდება ათვისების ხარისხზე, ინფორმაციის ათვისება კი მაშინ ხდება, როდესაც პროცესში ერთვება რეფლექსია.

შევარჩევთ მათ (**„სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები“, 16 მაისი, 2012, სოფიკო ლობჟანიძე, http://mastsavlebeli.ge/?p=2536**) **უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიმაჩნია, პედაგოგის მიერ აღებულ იქნეს პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც თავისთავად გულისხმობს კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობას.** კრიტიკული აზროვნება იწყება პრობლემის აღმოჩენიდან და მისი გაცნობიერებიდან – ნამდვილი სააზროვნო პროცესი იწყება პრობლემის გადაჭრის მოთხოვნილებიდან – რატომ წამოჭრის ადამიანი პრობლემებს? ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, ცნობისმოყვარე არსებაა. სწორედ ცნობისმოყვარეობა უდევს საფუძვლად მის კითხვებს: რატომ? როგორ? საიდან? როდესაც ბავშვებს მზა ცოდნას ვაწვდით და მათგან მხოლოდ ამ მზა ცოდნის დასწავლას მოვითხოვთ, მათში ცნობისმოყვარეობის ბუნებრივ მოთხოვნილებას ვასუსტებთ. ჯონ დიუი აღნიშნავდა, რომ ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას განვითარება სჭირდება: *„ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, თუ მას კონკრეტულ პრობლემებთან შებრძოლების საშუალებას ვაძლევთ და რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება უხდება“* (**„სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი TPDC**).

ვიდრე მოსწავლე გაიგებდეს რას გულისხმობს შეფასება, პედაგოგს სწორედ შესაბამისი „ანბანის“ გამოყენება დასჭირდება, რომ დაიყვანოს მათ სააზროვნო უნარებამდე. ეს კი დროის და ენერგიული მუშაობის შედეგი იქნება. დაწყებით საფეხურზე, კერძოდ კი, V კლასიდანვე მიზნად დავისახე, ეტაპობრივად, თანმიმდევრობით ამეხსნა მოსწავლეებისთვის რა მნიშვნელობა აქვს შეფასებას, რომელიც პრობლემის იდენტიფიცირებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დანიშნულებაა, ასახოს, რამდენად სწორად ფასდება მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის მიცემული დავალების შესრულება. შეფასებისას აქცენტი კეთდება ათვისების ხარისხზე, ინფორმაციის ათვისება კი მაშინ ხდება, როდესაც პროცესში ერთვება რეფლექსია. იგი ეხმარება მოსწავლეს, გამოავლინოს და შეიმეცნოს თავისი საქმიანობის ძირითადი კომპონენტები, მისი აზრი და ტიპი, საშუალებები, პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, მიღებული შედეგები, შემდეგ კი განსაზღვროს შემდგომი საქმიანობის მიზნები. რით უნდა დაიწყოს მასწავლებელმა ამ საკითხების წინ წამონევა? რა ტექნიკას მიმართოს, რა გზები და ხერხები გამოიყენოს წარმატების მისაღწევად? ამ დროს უმთავრესი ყურადღება ექცევა რეფლექსიის შემცველ შეკითხვებს და მოტივაციას, რომელიც მასწავლებლის ხელში შეიძლება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცეს – მასწავლებლის მიერ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით დაწყებული, კრიტიკული აზროვნებითა და სამოქმედო გეგმით დამთავრებული. თუმცა, არსებობს გარკვეული განსხვავება კითხვებსა და დაინტერესებას შორის: რეფლექსიის დროს კითხვები ზოგადია: „რა არის ეს?“, „როგორ არის ეს?“, „რა იქნება შემდეგ?“ – ასეთი კითხვები მოსწავლეს დააფიქრებს იმაზე, რა გააკეთა, რას აკეთებს და რას გააკეთებს მომავალში, უკეთ დაეხმარება მიღებული შედეგების ფორმულირებასა და თავისი ქმედებების კორექტირებაში (**მაია ფირჩხაძე, „რეფლექსია და სასწავლო პროცესი“, 28 ოქტომბერი, 2013**).

შეფასების მიზანი მდგომარეობს შემდეგში:

- **სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;**
- **მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა;**
- **სწავლის ხარისხის გაკონტროლება;**
- **მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში;**
- **აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.**

მოსწავლეებთან მუშაობის დაწყებისას (როდესაც პირველად ვეცნობი კლასს და ვიწყებ მათთან მუშაობას), თანდათან, ვხსნი როგორ ხდება ზოგადად შეფასება და რა პრინციპებს ეყრდნობა ის. პირველ რიგში, ვაფასებ საკუთარ თავს და იქვე ვცდილობ ავხსნა რას ნიშნავს მათთვის არგუმენტირებული შეფასება. ყოველთვის ვცდილობ, კლასს ვასწავლო პრობლემის იდენტიფიცირება, მათი ასაკის შესაბამისი და გასაგები მეტყველებით. მაგალითად, გაკვეთილის დასრულების შემდეგ დაფაზე დავწერე სიტყვები: დადებითი და უარყოფითი. მათ, ჩემთან ერთად, ჩამოწერეს რა პრობლემა იყო იმ დღეს გაკვეთილზე და რა შედეგი მივიღეთ. ჩემმა მაგალითმა, მესაუბრა საკუთარ თავზე, მისცა მათ მოტივაცია, თუმცა პირველ ეტაპზე ეს ადვილი ვერ იქნებოდა, ამიტომ ყოველ გაკვეთილს ამ სისტემით ვაჯამებდით. მიზანი თავიდანვე გავაცანი და ავხსენი: თუ გვინდა ვიყოთ ძლიერები, გვქონდეს შედეგი, განვავითაროთ ანალიტიკური უნარები, აუცილებლად უნდა ვეძებოთ პრობლემა და მისი გადაჭრის გზები.

შეფასების სანდოობას უზრუნველყოფს:

- მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხები;
- დავალების ზუსტი ინსტრუქცია;
- ზუსტად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები.

მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება:

- თვითშეფასება შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომელიც მოსწავლეს ეხმარება, თავადვე შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, ის უფრო მეტად მოტივირებულს ხდის მოსწავლეს, დაძლიოს სისუსტეები, გახდეს ცოდნის არა პასიური, არამედ აქტიური, ავტონომიური მიმღები.

- თვითშეფასების ძირითადი კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მოსწავლეებს არ ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რომ თვითშეფასება ობიექტურად აწარმოონ. შესაბამისად, არასწორად აფასებენ საკუთარ თავს და აქვთ შიში თვითშეფასების მიმართ. თუმცა, ამ პრობლემის

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებით მოსწავლე, მასწავლებლის ნაკლები ჩარევით, მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა.

მოგვარება შესაძლებელია პედაგოგის ფასილიტაციით.

- მოსწავლეების ურთიერთშეფასება (ანუ თანატოლთა შეფასება) ნიშნავს ერთმანეთის ნამუშევრის (ესე, ტესტი) ან შესრულების შეფასებას. თანატოლთა შეფასება შესაძლებელია იყოს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი, მაგრამ, უფრო ხშირად, განმავითარებელ შეფასებას იყენებენ.

კონკრეტული გაკვეთილის შეფასებისას წარმატებულად ვიყენებ მაია ფირჩხაძის ხსენებულ სტატიაში მოყვანილ მაგალითებს:

„დაასრულე წინადადება“

- **მიზანი:** გაკვეთილის შედეგების შეჯამება – რა ისწავლეს და როგორ იმუშავეს (ანუ თითოეული მოსწავლე აფასებს თავის წვლილს გაკვეთილის დასაწყისში დასმული მიზნის მიღწევაში, ასევე თავის აქტიურობას, კლასის ეფექტურ მუშაობას და სამუშაოს არჩეული ფორმის უპირატესობას).

- **შინაარსი:** დაფაზე წინასწარ არის გამზადებული რეფლექსიური ეკრანი, რომელზეც ჩამოწერილია რამდენიმე ფრაზის დასაწყისი. მოსწავლეებმა მათგან წინადადებები უნდა შეადგინონ:

- მე დღეს გავიგე... ახლა მე შემიძლია... მე შევძელი...
- საინტერესო იყო... მე ვიგრძენი, რომ... მე შევეცდები...

თვითანალიზის ანკეტა

- **მიზანი:** თვითანალიზი, გაკვეთილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება. ამ დროს შესაძლებელია რამდენიმე პუნქტის ვარირება-შევსება, რაც იმაზეა დამოკიდებული, გაკვეთილის რომელ ელემენტს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება; შეგვიძლია, მონაწილეებს ვთხოვოთ, თავიანთ პასუხებზე არგუმენტებიც წარმოადგინონ.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ რეფლექსიის რამდენიმე ვარიანტი:

I ვარიანტი

- გაკვეთილზე მე ვმუშაობდი ..... აქტიურად/პასიურად
- გაკვეთილზე ჩემი მუშაობით ..... კმაყოფილი ვარ/უკმაყოფილო ვარ
- გაკვეთილი მე მომეჩვენა ..... მოკლე/გრძელი
- გაკვეთილზე მე ..... დავიღალე/არ დავღლილვარ
- ჩემი განწყობილება ..... უკეთესი /უარესი გახდა
- გაკვეთილის მასალა ჩემთვის იყო ..... გასაგები/გაუგებარი
- საშინაო დავალება ..... სასარგებლო/უსარგებლო
- საინტერესო/მოსაწყენი
- ადვილი/რთული,
- საინტერესო/უინტერესო

მოსწავლეები აწარმოებენ საკუთარ პორტფოლიოს, სადაც ყოველი გაკვეთილის შემდეგ აკეთებენ თვითშეფასებას. კვირის ბოლოს ვაგროვებ მონაცემებს და ვაანალიზებ, შემდეგ კი განმავითარებელი კომენტარების მეშვეობით ვუხსნი მათ, თუ რა უნდა გაუკეთონ, რა სტრატეგია აირჩიონ საკუთარი თავის და შესაძლებლობების შეფასებისთვის, ეს კი ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობას და სანდოობას. ვცდილობ, ხელი შევუწყო მათ მეგობრულ დამოკიდებულებას, რაშიც ხარაჩოს (სკაფოლდინგი) პრინციპი მეხმარება. სხვების გამოცდილების გაზიარება კი, პედაგოგისა და მოსწავლეების წარმატების საფუძველია.

მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შემოწმება-შეფასება იმ ურყევი პედაგოგიური დებულების განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომლის თანახმად, ყველა მომდევნო ცოდნა დაფუძნებული უნდა იყოს წინაზე, „დღევანდელი განამტკიცებდეს გუშინდელს და გზას უხსნიდეს ხვალინდელს“ (კომენსკი) (**იმერი ბასილაძე, „გაბრიელ ეპისკოპოსის/გერასიმე ქიქოძის ქრისტიანული პედაგოგიკა“, ქუთაისი, 2000 წელი**).

განმავითარებელი კომენტარით, მასწავლებელმა მოსწავლე უნდა ჩაახედოს თავის ცოდნაში, ცხადყოს მიღწევები და ნაკლი, მიუთითოს ცოდნაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის გზებზე, დაარწმუნოს საკუთარ ძალებში და შეუქმნას პერსპექტივა უკეთესი სწავლისათვის. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება, არა მარტო ვიწრო პედაგოგიური, სასწავლო-სააღმზრდელო ხასიათის ღონისძიებაა, არამედ სახელმწიფოებრივი კონტროლის ფორმაც, ამდენად, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებაც (**დ. ლორთქიფანიძე, „დიდაქტიკა“ თბილისი, 1981**).

ამგვარად, შეფასების ძირითადი დანიშნულებაა სწავლის მოტივაციის გაზრდა და სასწავლო პროცესისთვის გზის გაკვალვა, ასევე მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის საჭირო უკუკავშირების მიწოდება. შემაჯამებელი შეფასების ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, რომლებიც სასწავლო მიზნის მიღწევის შესახებ საბოლოო მონაცემებს იძლევიან, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ისეა შემუშავებული, რომ მასწავლებლს მოსწავლეების აკადემიური ზრდის დინამიკის შესახებ მიმდინარე ინფორმაცია მიაწოდონ.

(https://www.amle.org/BrowsebyTopic/WhatsNew/WNDet/TabId/270/ArtMID/888/ArticleID/286/Formative-and-Summative-Assessments-in-the-Classroom.aspx, Formative and Summative Assessments in the Classroom)

სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად განმავითარებელი ინსტრუმენტი სასწავლო მასალას უფრო ღრმად უნდა ჩაწვდეს და ისე იყოს შედგენილი, რომ მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების ჯეროვნად წარმოჩენა შეძლოს. 21-ე საუკუნის განათლებაში, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება, საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასება და რეალიზება.

ნათია კალანდაძე
ქუთაისის №15 საჯარო სკოლის ისტორიის წამყვანი პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები“, სოფიკო ლობჟანიძე, 16 მაისი 2012 http://mastsavlebeli.ge/?p=2536;
2. „სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი TPDC;
3. დ. ლორთქიფანიძე, „დიდაქტიკა“, თბილისი, 1981;
4. მაია ფირჩხაძე, „რეფლექსია და სასწავლო პროცესი“, 28 ოქტომბერი, 2013;
5. იმერი ბასილაძე, „გაბრიელ ეპისკოპოსის/გერასიმე ქიქოძის ქრისტიანული პედაგოგიკა“, ქუთაისი, 2000 წელი;
6. თამთა კობახიძე, შეფასება-მიდგომები და ზოგადი სტრატეგია http://mastsavlebeli.ge/?p=9023;
7. https://www.amle.org/BrowsebyTopic/WhatsNew/WNDet/TabId/270/ArtMID/888/ArticleID/286/Formative-and-Summative-Assessments-in-the-Classroom.aspx, Formative and Summative Assessments in the Classroom

ერთიანი ეროვნული გამოცდები — 2019

✓ **მნიშვნელოვანი სიახლე!**

2019 წლიდან, ორი ან მეტი არჩევითი საგნის გამოცდის არჩევისას, ერთ-ერთ მათგანში ჩაჭრის (მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის) ან ერთ-ერთი არჩევითი საგნის გამოცდაზე არგამოცხადების შემთხვევაშიც აბიტურიენტი შეინარჩუნებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების შესაძლებლობას.

ცვლილებები 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების ფორმატში:

2019 წელს ცვლილება ოთხ გამოცდას (ქართულ ენასა და ლიტერატურას, ლიტერატურას, გეოგრაფიასა და უცხოურ ენებს) შეეხება. წინა წლების ტესტების ანალიზმა და პედაგოგებთან ერთად ამ გამოცდების შედეგების განხილვამ აჩვენა, რომ აბიტურიენტის ცოდნისა და უნარების უკეთ შესაფასებლად მიზანშეწონილია ამ საგამოცდო ტესტების ფორმატში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ამ ცვლილებების მიუხედავად, არ შეიცვლება დადგენილი მინიმალური კომპეტენციის პროცენტული ზღვარი.

✓ **ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა:**

ტესტში იქნება მხოლოდ 3 დავალება: ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური 16 ქულა), არგუმენტირებული ესე (მაქსიმალური 24 ქულა) და მხატვრული ტექსტის ანალიზი (მაქსიმალური 30 ქულა). ასე რომ, წინა წელთან შედარებით, 2019 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტს მოაკლდება 15-ქულიანი არჩევითპასუხებიანი დავალება (წაკითხულის გააზრება), მხატვრული ტექსტის ანალიზს კი დაემატება 5 ქულა; შესაბამისად, საგამოცდო ტესტის მაქსიმალური შეფასება იქნება 70 ქულა.

ტესტის დავალებების შემცირებასთან ერთად შემცირდება საგამოცდო დროც და გახდება 3 საათი და 45 წუთი.

✓ **უცხოური ენების გამოცდა:**

- ტესტიდან ამოღებულია ერთ-ერთი დავალება. ეს არის არჩევითპასუხებიანი დავალება, რომელიც გრამატიკის ცოდნას ამოწმებდა. გრამატიკის ცოდნა შემოწმდება ტესტში არსებული წერითი დავალებების საშუალებით;
- საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 80 და არა 90, როგორც ეს წინა წელს იყო;
- შესაბამისად, საგამოცდო დრო გახდა 2 საათი და 30 წუთი.

✓ **ლიტერატურის გამოცდა:**

- ტესტიდან ამოღებულია ერთი წერითი დავალება, სამაგიეროდ გაიზარდა ღია კითხვების ბლოკი (მაქსიმალური ქულაა 40, ნაცვლად 30-ისა) და მხატვრული ტექსტის ანალიზის მაქსიმალური ქულა იქნება 30, ნაცვლად 25-ისა;
- საგამოცდო ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 70 და არა 80, როგორც ეს წინა წლებში იყო;
- ტესტის დავალებების შემცირებასთან ერთად შემცირდა გამოცდისათვის განკუთვნილი დრო. გამოცდის ხანგრძლივობა არის 4 საათი.

✓ **გეოგრაფიის გამოცდა:**

- ტესტში გაიზრდება ე. წ. ღია დავალებების ხვედრითი წილი, რომლებიც კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული ცოდნის გამოყენებასა და ანალიზზე;
- შემცირდება ე.წ. არჩევითპასუხებიანი კითხვების წილი და დაემატება 1, 2, 3 და 4-ქულიანი ღია დავალებების ბლოკი;
- ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 60, ნაცვლად 59-სა.

აბიტურიენტებს გამოცდაზე კვლავინდებურად დაურიგდებათ საქართველოსა და მსოფლიოს A3 ფორმატის ფიზიკური რუკა და შესაბამისი დავალებისათვის გათვალისწინებული ტოპოგრაფიული რუკა.

გამოცდები, 2019 წელსაც, ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდება: ფორმატი ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. გამოცდაში მონაწილე პირი დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს.

2019 წლიდან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ოსურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აბიტურიენტებს ექნებათ მხოლოდ აფხაზური ან ოსური ენის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე (ეს რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე).

რეგისტრაციის პროცესი წელსაც რამდენიმეეტაპიანი იქნება:

აბიტურიენტთა რეგისტრაცია 2019 წლის 12 მარტის 10:00 საათზე დაიწყება და 3 აპრილის 18:00 საათამდე გაგრძელდება.

2019 წლის 3 აპრილის 18:00 საათის შემდეგ აბიტურიენტი ვეღარ შეცვლის საგამოცდო ქალაქს.

აბიტურიენტებს პირადი მონაცემების შეტანა, საგამოცდო ქალაქისა და ჩასაბარებელი საგნების არჩევა პირველ, ძირითად ეტაპზე, **2019 წლის 12 მარტის 10:00 საათიდან 2019 წლის 3 აპრილის 18:00 საათამდე** შეეძლებათ. აბიტურიენტმა ამ პერიოდში უნდა მიუთითოს საგნები – არანაკლებ 4 გამოცდისა; სახელოვნებო/სასპორტო მიმართულების ფაკულტეტებზე ჩაბარების მსურველებმა – არანაკლებ 3 გამოცდისა.

ერთი გამოცდა მაინც უნდა აირჩიონ აბიტურიენტებმა, თუ ისინი აბარებენ: მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართული ენა და ლიტერატურა) ან ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გამოცდა: ზოგადი უნარები აზერბაიჯანულ ენაზე; ზოგადი უნარები სომხურ ენაზე; აფხაზური ენა; ოსური ენა. ეს რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე).

აბიტურიენტს, 2019 წლის 7 მაისის 18:00 საათამდე, შეეძლება საგნის შეცვლა, წაშლა, დამატება ან შემოქმედებითი ტურის არჩევა. მაგ.: თუ აბიტურიენტს არჩეული ჰქონდა ფიზიკა, მაგრამ გადაწყვიტა ისტორიის ჩაბარება. ამ პერიოდის განმავლობაში შესაძლებელი იქნება როგორც საგნის, ასევე საგამოცდო ენის შეცვლაც (მაგ.: ზოგადი უნარების გამოცდა ქართულად შეიძლება მან ჩაანაცვლოს ზოგადი უნარების გამოცდით აზერბაიჯანულად, ან სომხურად და ა.შ.).

მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ (**7 მაისი**) საგანთა ჩამონათვალში ცვლილება ვეღარ განხორციელდება.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, სარეგისტრაციო განაცხადში საგანმანათლებლო პროგრამების მითითებისა და შეცვლის საშუალება აბიტურიენტებს აპელაციების შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით ექნებათ.

დეტალური ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციის შესახებ:

აბიტურიენტები რეგისტრაციას მხოლოდ ინტერნეტით გაივლიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე **12 მარტის 10:00 საათიდან 3 აპრილის 18:00 საათამდე (online.naec.ge)**.

რეგისტრაციისათვის აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს გამოცდებში მონაწილეობის საფასური (გადახდის ფორმები აღწერილია ქვემოთ).

1. აბიტურიენტს უნდა ჰქონდეს (ან უნდა შექმნას) ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2. ინტერნეტით რეგისტრაციას აბიტურიენტი (როგორც სკოლის მოსწავლე, ისე სკოლადამთავრებული და ექსტერნი) გადის ვებგვერდზე wან online.naec.ge.

3. მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ აბიტურიენტი სპეციალურ ველში უთითებს ელექტრონული ფოსტის მისამართს, რომელზეც მიიღებს პაროლს (ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებით და მიღებული პაროლით აბიტურიენტი შედის სისტემაში, პირად გვერდზე).

4. აბიტურიენტი, სპეციალურ ველში, უთითებს 11-ნიშნა პირად ნომერს, თუ აბიტურიენტი საქართველოს მოქალაქეა, პროგრამას ავტომატურად გამოაქვს ეკრანზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში **არსებული მონაცემები (აბიტურიენტის პირადი ინფორმაცია), რის შემდეგაც აპლიკანტს შეუძლია გააგრძელოს რეგისტრაციის პროცესი.**

თუ აპლიკანტი არ არის საქართველოს მოქალაქე, ან არის ორმაგი მოქალაქეობის მქონე და გამოცდაზე დარეგისტრირდება, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, დამატებით ავსებს სპეციალურ ველებს – უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის/პასპორტის სერიასა და ნომერს (პასპორტის სერიის ყველა სიმბოლო, იქნება ეს ციფრები თუ ასოები, ივსება მიყოლებით, სივრცის დატოვების გარეშე).

5. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გამოცდაში მონაწილეობის საფასურის გადახდის შესახებ (თუ გადახდა არ დადასტურდა, აბიტურიენტი ეკრანზე ხედავს შესაბამის შეტყობინებას და ვეღარ აგრძელებს რეგისტრაციას).

6. აბიტურიენტმა უნდა მონიშნოს იმდენი საგამოცდო საგანი, რამდენი საგნის საფასურიც აქვს გადახდილი.

7. აბიტურიენტმა უნდა შეავსოს შემდეგი ველები: აპლიკანტის სტატუსი, საგამოცდო ქალაქი, საკონტაქტო ტელეფონი და მშობლიური ენა.

8. **თუ პირადი ინფორმაციის შევსებისას აბიტურიენტი შესაბამის ველში მიუთითებს მობილური ტელეფონის (და არა სტაციონარულ) ნომერს, მას სისტემაში შესვლისათვის საჭირო პაროლის აღდგენა მითითებულ ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით შეეძლება. აღსადგენად აბიტურიენტმა ეკრანზე სპეციალურ ღილაკს უნდა დააჭიროს.**

9. თუ აბიტურიენტს გამოცდის დროს ესაჭიროება სპეციალური პირობების/სპეციფიკური საგამოცდო გარემოს შექმნა, უნდა მონიშნოს შესაბამისი გრაფა და ვალდებულია, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ცნობა (ფორმა №100) ფუნქციონალური დარღვევის თაობაზე) წარმოადგინოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში **2019 წლის 2 მაისის 18:00 საათამდე**.

10. გამოცდის არჩევისას აბიტურიენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ზოგადი უნარების გამოცდის ენას.

11. საგამოცდო საგნების მონიშვნის შემდეგ აბიტურიენტმა უნდა შეადგინოს საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგული ჩამონათვალი (აპელაციების შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით). ჩამონათვალის შედგენისას აბიტურიენტი უთითებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის კოდს, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას სისტემა თავად ჩაწერს შესაბამის ველებში.

აუცილებელი ველების შევსებისა და ჩასაბარებელ საგანთა ჩამონათვალის მითითების შემდეგ აბიტურიენტი აჭერს შენახვის ღილაკს, რის შემდეგაც ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს შეტყობინებას, რომ მან წარმატებით გაიარა რეგისტრაცია, ასევე მის მიერ არჩეული პროგრამების ჩამონათვალს.

თუ აბიტურიენტი ელექტრონული ფოსტით ვერ მიიღებს აღნიშნულ დადასტურებას (ვერც „inbox"-ში და ვერც „junk"-ის ან „spam"-ის განყოფილებაში), მას, სავარაუდოდ, არ აქვს დასრულებული ცვლილებების განხორციელება (მაგ.: არ დააჭირა შენახვის ღილაკს).

12. აბიტურიენტს არ სჭირდება ფოტოსურათის გადაღება და ატვირთვა. საგამოცდო ბარათის ელექტრონული, ამოსაბეჭდი ვერსიის დამზადებისას სისტემა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებულ ფოტოს გამოიყენებს.

აბიტურიენტს შეუძლია არაერთხელ შეცვალოს საკუთარი არჩევანი (საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტული ჩამონათვალი) აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით – იგი თავისი ელექტრონული ფოსტის მისამართისა და პაროლის მითითებით შედის საკუთარ გვერდზე, შეაქვს სასურველი ცვლილებები და ინახავს ინფორმაციას. აბიტურიენტი ყველა ცვლილების დადასტურებას მიიღებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თუ აბიტურიენტი ელექტრონული ფოსტით ვერ მიიღებს აღნიშნულ დადასტურებას (ვერც „inbox"-ში და ვერც „junk"-ის ან „spam"-ის განყოფილებაში), მას, სავარაუდოდ, არ აქვს დასრულებული ცვლილებების განხორციელება (მაგ.: არ დააჭირა შენახვის ღილაკს).

აპელაციების შედეგების გამოქვეყნების მომდევნო დღის შემდეგ აბიტურიენტი საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულ ჩამონათვალს ვეღარ შეცვლის! დამატებითი ინსტრუქციები განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: www.naec.ge.

გამოცდაში მონაწილეობის საფასურის გადახდის დანიშნულებაში საქართველოს მოქალაქე უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელს და პირად ნომერს. უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც დარეგისტრირდება, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელს, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის/პასპორტის სერიას და ნომერს (პასპორტის სერიის ყველა სიმბოლო, იქნება ეს ციფრები თუ ასოები, ივსება მიყოლებით, სივრცის დატოვების გარეშე).

ერთი საგნის გამოცდის ჩაბარების საფასურია 10 ლარი. საფასურის გადახდა შეუძლია როგორც აბიტურიენტს, ისე სხვა პირს, რომელიც გადახდისას მიუთითებს აბიტურიენტის შესაბამის მონაცემებს.

გადახდის შესაძლო საშუალებები და საბანკო მომსახურების საკომისიო:

1. ცენტრის ვებგვერდიდან – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი;

2. „საქართველოს ბანკის" სერვის ცენტრები – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი;

3. ვებგვერდზე ipay.ge – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

4. „საქართველოს ბანკის" თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

5. „საქართველოს ბანკის" ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით – ibank.ge – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

ერთიანი ეროვნული გამოცდები — 2019

6. „თიბისი ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

7. PayBox-ის თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი.

გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის დანიშნულებაში საქართველოს მოქალაქე უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელს და პირად ნომერს. უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც დარეგისტრირდება, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელს, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის/პასპორტის სერიას და ნომერს (პასპორტის სერიის ყველა სიმბოლო, იქნება ეს ციფრები თუ ასოები, ივსება მიყოლებით, სივრცის დატოვების გარეშე).

ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის საფასური სრულად ბრუნდება განცხადების საფუძველზე, თუ:

✓ პირი ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში არ დარეგისტრირდა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე;

✓ აბიტურიენტმა შესაბამისი წლის 7 მაისის 18:00 საათამდე წერილობით განაცხადა უარი ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობაზე;

✓ აბიტურიენტი ვერ მოიპოვებს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – ატესტატს.

აგრეთვე, თუ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასური გადახდილია მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) ან შესაბამის აბიტურიენტს უბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და საფასურის დადგენილ ოდენობას შორის.

აბიტურიენტს რეგისტრაციის მეორე ეტაპის (**7 მაისი**) დასრულებიდან **ცენტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში** უფლება აქვს შეავსოს თანხის დაბრუნების შესახებ ცენტრის მიერ დადგენილი განაცხადის ფორმა (საგანმანათლებლო რესურსცენტრსა ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში). **თანხები ბრუნდება შესაბამისი განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა**. განაცხადის ფორმა და დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.naec.ge.

თანხის დაბრუნების თაობაზე დაგვიანებით შემოტანილი განცხადება არ განიხილება და თანხა უკან აღარ დაბრუნდება.

• არ გაანდოთ სხვას ელექტრონული ფოსტით მიღებული პაროლი. მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული მონაცემების სისწორესა და მასში შემდგომ შეტანილ ცვლილებებზე;

• პერიოდულად უნდა გადაამოწმოთ თქვენი მონაცემები ვებგვერდზე: www.online.naec.ge

დოკუმენტაციის წარდგენის ვადები

თუ თქვენ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი **მიიღეთ 2011 წლამდე, 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით** შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარმოადგინოთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ამავე ვადაში (2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით) უნდა წარმოადგინონ სრული ზოგადი განათლების აღიარების დოკუმენტი:

• აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღეს;

• აბიტურიენტებმა, რომლებსაც აქვთ საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას).

აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს, შესაბამისი განათლების აღიარების დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში **2019 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით**;

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრაციას გაივლის, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვალდებულია, **2019 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით** შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

განაცხადის გაკეთება შეგიძლიათ ერთი და იმავე ან სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

სარეგისტრაციო განაცხადის შევსებისას აბიტურიენტმა უნდა გაითვალისწინოს:

• აკრედიტებულია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა (არააკრედიტებული პროგრამა არ ფინანსდება სახელმწიფო სასწავლო გრანტით);

• გაზრდილია თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

• მითითებულია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური მოთხოვნები;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებელი გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტი;

კოეფიციენტების მინიჭებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისათვის მეტად თუ ნაკლებად პრიორიტეტულ საგამოცდო საგნებს, საკონკურსო ქულები სწორედ კოეფიციენტების მიხედვით დაითვლება.

• საგანთა პრიორიტეტი.

საგანთა პრიორიტეტის გათვალისწინება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი აბიტურიენტი დააგროვებს ერთნაირ საკონკურსო ქულას საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი ადგილების მიჯნაზე.

მაგალითად: კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის 20 ადგილი. ცხადია, სწავლის გაგრძელების უფლება უნდა მოიპოვოს საუკეთესო შედეგის მქონე 20-მა აბიტურიენტმა, მაგრამ მე-20 პოზიციაზე აღმოჩნდა ორი ზუსტად ერთნაირი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტი. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მას, ვისაც უფრო მაღალი შეფასება ექნება პრიორიტეტული საგნის გამოცდაში.

✓ გახსოვდეთ, თქვენ მიერ არჩეული პროგრამების რაოდენობა შეზღუდული არ არის! ასევე უნდა გაითვალისწინოთ:

• საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული ადგილების რაოდენობა (საბოლოო ინფორმაცია);

• საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური;

• საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა;

• ორი ან მეტი არჩევითი საგნის მითითების შემთხვევაში ამ გამოცდებისათვის დაწესებული კვოტები;

• თუ რომელ ქალაქში მიმდინარეობს სწავლა ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

• რაიმე სახის ფუნქციონალური დარღვევის შემთხვევაში (მოტორული, სმენითი, მხედველობითი და სხვ.) ივსება სპეციალური გრაფა. ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100) აბიტურიენტმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარადგინოს 2019 წლის 2 მაისის ჩათვლით;

• ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ აღნიშნული თარიღის შემდგომ ცნობის წარდგენისას აბიტურიენტი ვერ ისარგებლებს სპეციალური პირობებით. 2019 წლის 2 მაისის შემდგომ წარმოშობილი ფუნქციური დარღვევის შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უნდა წარედგინოს ასეთი დარღვევის წარმოშობიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა;

• გამოცდებამდე ან გამოცდების პერიოდში ინფექციური დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ან საგამოცდო ცენტრს გამოცდების დაწყებამდე, რათა ცენტრმა უზრუნველყოს აბიტურიენტისათვის სპეციალური პირობების შექმნა;

• გამოცდებამდე ან გამოცდების პერიოდში აბიტურიენტის დაკავების/დაპატიმრების შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რათა ცენტრმა უზრუნველყოს აბიტურიენტის გამოცდაზე დასაშვებად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

გახსოვდეთ, რომ რეგისტრაციის ძირითადი ეტაპის (3 აპრილი) დასრულების შემდეგ აბიტურიენტს არ შეეძლება შეცვალოს საგამოცდო ქალაქი (თუმცა აქვს უფლება, 7 მაისის ჩათვლით დაამატოს ან წაშალოს არჩეული საგანი, შეცვალოს ზოგადი უნარების გამოცდის ენა ან ჩაანაცვლოს მითითებული საგანი სხვა საგნით). 7 მაისის შემდეგ საგნების ჩამონათვალში ცვლილების შეტანა აღარ იქნება შესაძლებელი.

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში პროგრამის დამატება ან წაშლა შესაძლებელია აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის ჩათვლით.

საგამოცდო ბარათები – აბიტურიენტები საგამოცდო ბარათების ელექტრონულ ვერსიებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ კომპიუტერზე პირადი გვერდიდან ამობეჭდავენ (გვერდი, სადაც აბიტურიენტი ირჩევს გამოცდებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, ნახულობს შედეგებს). ბარათზე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

• საგამოცდო ცენტრის მისამართი;

• თითოეული გამოცდის თარიღი;

• გამოცდაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

მნიშვნელოვანია, რომ საგამოცდო ბარათზე მოცემული ყველა ინფორმაცია დაბეჭდილი იყოს მკაფიოდ, ხარვეზების (წყვეტა, ლაქები და ა.შ) გარეშე. საგამოცდო ბარათი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

სად გაიხსნება საგამოცდო ცენტრები?

2019 წელს საგამოცდო ცენტრები გაიხსნება: ბათუმში, ხულოში ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, თბილისში, რუსთავში, თელავში.

რა შემთხვევაში გაუქმდება აბიტურიენტის სარეგისტრაციო განაცხადი?

აბიტურიენტის სარეგისტრაციო განაცხადი გაუქმდება ან რანჟირების დოკუმენტის შედგენისას მისი შედეგები არ იქნება განხილული, თუ მან:

• დაწერა განცხადება და მოითხოვა რეგისტრაციის გაუქმება (განცხადებას თან უნდა დაერთოს აბიტურიენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);

• არ აქვს/ვერ მოიპოვა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი/მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;

• 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით არ წარმოადგინა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებულია 2011 წლამდე.

• 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით არ წარმოადგინა სრული ზოგადი განათლების ან მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღეს; აბიტურიენტებმა, რომლებსაც აქვთ საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას).

აბიტურიენტებმა, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს, შესაბამისი განათლების აღიარების დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში 20 აგვისტოს ჩათვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კონკურსში ვერ მიიღებენ მონაწილეობას და მათი შედეგები არ იქნება გათვალისწინებული რანჟირების დოკუმენტის შედგენისას (ვერ მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას)!

2019 წლის 7 მაისის 18:00 საათის შემდეგ, რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, გამოცდაზე რეგისტრაციის გადახდილი საფასური აბიტურიენტს უკან ვეღარ დაუბრუნდება.

სავალდებულო და არჩევითი საგნების გამოცდები

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მიზნით აბიტურიენტი აბარებს 4 გამოცდას – აქედან 3 სავალდებულო საგანს (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, ერთ-ერთი უცხოური ენა) და 1 არჩევითი საგნის გამოცდას (არჩევითი საგნები: ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება) იმ საგნებიდან, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კონკრეტული პროგრამისათვის ითხოვს.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებულია ერთი ან რამდენიმე უცხოური ენა?

• აბიტურიენტი ვალდებულია, ჩააბაროს ის უცხოური ენა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაზე არის მოთხოვნილი;

• საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე ორი ან მეტი უცხოური ენის მითითების შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია, ჩააბაროს ერთ-ერთი უცხოური ენის გამოცდა დასახელებულთაგან, რომელსაც თავად აირჩევს;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო პროგრამაზე არ აირჩიოს გამოცდა კონკრეტულ უცხოურ ენაში. ამ შემთხვევაში 4 უცხოური ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) აბიტურიენტი ირჩევს მისთვის სასურველ ერთ-ერთ უცხოურ ენას;

• აბიტურიენტი სარეგისტრაციო განცხადებაში უთითებს მხოლოდ ერთ უცხოურ ენას;

• რუსულის უცხოურ ენად არჩევის უფლება აქვს ყველა აბიტურიენტს, მათ შორის იმ აბიტურიენტებსაც, რომელთა სკოლაში სწავლების ენა იყო რუსული.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებულია ორი ან მეტი არჩევითი საგანი?

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შეუძლია აირჩიოს არა ერთი, არამედ რამდენიმე (ყველა) არჩევითი საგანი და დააწესოს კვოტა თითოეული გამოცდით მისაღები კონტინგენტისათვის. ამ შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია, ჩააბაროს დასახელებულთაგან ერთ-ერთი არჩევითი საგნის გამოცდა, რომელსაც თავად აირჩევს (აბიტურიენტს, სურვილის შემთხვევაში, ასევე უფლება აქვს ჩააბაროს ერთზე მეტი ან ყველა არჩევითი საგნის გამოცდა).

მაგალითად: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამაზე აცხადებს, რომ მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობაა 150, ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაზე მეოთხე გამოცდად აირჩია ქიმია და ბიოლოგია და განსაზღვრა, რომ 150-დან 120 ადგილზე მიიღებს აბიტურიენტებს, რომლებმაც ჩააბარეს ბიოლოგია, დანარჩენ 30 ადგილზე კი იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც ჩააბარეს ქიმია. აბიტურიენტი ქიმიისა და ბიოლოგიის გამოცდებიდან ირჩევს ერთ-ერთს ან ორივეს სურვილისამებრ.

ვთქვათ, იმ აბიტურიენტთაგან, რომლებმაც ამ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გააკეთეს განაცხადი და მეოთხე გამოცდად ბიოლოგია ჩააბარეს, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა მხოლოდ 100-მა აბიტურიენტმა. დარჩენილი 20 ადგილი შეივსება იმ აბიტურიენტებით, რომლებიც ამავე საგანმანათლებლო პროგრამაზე აბარებდნენ მეოთხე გამოცდად ქიმიას და თავდაპირველად არ ეყოთ ქულები ამ გამოცდისათვის გამოყოფილ ადგილებზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად.

შეუძლია თუ არა აბიტურიენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ქართულის გარდა სხვა ენაზე?

• ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე;

• აბიტურიენტს, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, უფლება აქვს ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სამოქალაქო განათლების, მათემატიკისა და ქიმიის გამოცდა ჩააბაროს რუსულ ენაზე. ამ შემთხვევაში აბიტურიენტმა განცხადებით უნდა მიმართოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს 2019 წლის 1 მაისამდე.

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა, სანამ ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებენ, უნდა გაიარონ შესაბამისი კონკურსი (შემოქმედებითი ან სპორტული ტური, რომლისთვისაც რეგისტრირდებიან უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ კონკურსის თაობაზე ზუსტი ინფორმაციის მისაღებად აბიტურიენტებმა უნდა მიმართონ შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას) და შემდეგ უნდა ჩააბარონ:

ა) 3 სავალდებულო გამოცდა* (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა), თუ საგანმანათლებ-

ერთიანი ეროვნული გამოცდები — 2019

ლო დაწესებულებამ (საგანმანათლებლო პროგრამაზე) მიუთითა მეოთხე, არჩევითი გამოცდა, აბიტურიენტები ამ გამოცდასაც ჩააბარებენ;

* თუ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიუთითა 3 სავალდებულო გამოცდა, მაგრამ აბიტურიენტს სურს ერთიანი ეროვნული გამოცდებით სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვება, მან უნდა ჩააბაროს ნებისმიერი არჩევითი საგანი და მონაწილეობა მიიღოს შესაბამის კონკურსში.

ბ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად (ეს პუნქტი ეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს) – ზოგადი უნარების გამოცდა სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ან აფხაზური ენის ან ოსური ენის გამოცდა.

აბიტურიენტი ვერ მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლებას სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუ მას არ ექნება ჩაბარებული შემოქმედებითი ან სპორტული ტური.

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე უნდა გაიარონ შესაბამისი კონკურსი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, რომლისთვისაც რეგისტრირდებიან უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ:

ა) 3 სავალდებულო გამოცდას (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა) და ერთ-ერთ არჩევით საგანს;

ბ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად ზოგადი უნარების გამოცდას სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ან აფხაზურ ენას ან ოსურ ენას (ეს პუნქტი ეხებათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს).

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბარონ **მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა**. დანარჩენ გამოცდებს აბიტურიენტი აბარებს უშუალოდ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდის – ქართული ენისა და ლიტერატურის – ქულის გათვალისწინებით.

აბიტურიენტი მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციისას აღარ უთითებს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემდეგ უშუალოდ მიმართავს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას!

რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?

აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდებიან ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ადგილებზე, მოუწევთ ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე ან აფხაზური ენა ან ოსური ენა. ეს აბიტურიენტები სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლა ხორციელდება 1 წელი (60) კრედიტი. ამ პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები დამატებითი გამოცდების გარეშე, თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას გააგრძელებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის (4 წელი – 240 კრედიტი), დიპლომირებული სტომატოლოგის (5 წელი – 300 კრედიტი), დიპლომირებული მედიკოსის (6 წელი – 360 კრედიტი), მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო ან ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით (5 წელი – 300 კრედიტი). ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი გადადის შემდეგი ეტაპის დასაფინანსებლად.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების (ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის ან აფხაზური ენის ან ოსური ენის ტესტების) შედეგების საფუძველზე ჩარიცხვის მსურველები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად აბიტურიენტებს (საქართველოს მოქალაქეებს) უფლება აქვთ, რეიტინგულ ჩამონათვალში მიუთითონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამ შემთხვევაში აბიტურიენტები აბარებენ ამ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ გამოცდებს.

სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესი

მნიშვნელოვანი სიახლე

• 2019 წლიდან ორი ან მეტი არჩევითი საგნის არჩევისას ერთ-ერთ მათგანში ჩაჭრის ან გამოცდაზე არგამოცხადების შემთხვევაშიც აბიტურიენტი შეინარჩუნებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების შესაძლებლობას.

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე?

ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირს. 2019 წელს გაიცემა 100%-იანი, 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტები.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა აბიტურიენტზეც, რომელმაც წინა წლებში მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება და სახელმწიფო სასწავლო გრანტი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ არ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არ გამოიყენა სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტისთვის გამოყოფილი თანხის წლიური მოცულობის არა უმეტეს 2%-ისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ან ნაცვალგების პრინციპით.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი არ გაიცემა:

- **უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე;**
- **ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებზე, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რეგისტრაციას გაივლიან, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ან ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩატარების წლის პირველ აგვისტომდე განაცხადებენ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება სურთ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს და ცენტრში წარადგენენ შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტებს;**
- **იმ პირებზე, რომლებიც არააკრედიტებულ პროგრამებზე მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას;**
- **იმ პირებზე, რომლებსაც სახელმწიფო სასწავლო გრანტი ერთხელ მიღებული და გამოყენებული აქვთ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.**

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების წესი: აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა ყველა გამოცდის (3 სავალდებულო და ერთ-ერთი არჩევითი საგნის) შედეგის მიხედვით. აბიტურიენტმა, რომელიც აბარებს სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო პროგრამაზე და სურს სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვება, აუცილებლად უნდა ჩააბაროს მეოთხე გამოცდა (არჩევითი გამოცდების ჯგუფიდან ნებისმიერი).

აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე აბსოლუტური (საგრანტო) ქულის დადგენის წესი:

სახელმწიფო სასწავლო გრანტისათვის გათვალისწინებული თანხა განაწილდება ერთიანი ეროვნული გამოცდის არჩევით საგნებზე შემდეგი პრინციპის დაცვით:

თანხა იყოფა ორ თანაბარ ნაწილად. თანხის ერთი ნახევარი განაწილდება არჩევითი საგნების შემდეგ ჯგუფზე:

ა) ლიტერატურა;
ბ) ისტორია;
გ) გეოგრაფია;
დ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
ე) სამოქალაქო განათლება.

ჯგუფისათვის გამოყოფილი თანხის 5% თანაბრად გადანაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო 95% პროპორციულად გადანაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჯგუფის ყოველი არჩევითი საგნისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობის პროპორციულად.

თანხის მეორე ნახევარი კი – არჩევითი საგნების შემდეგ ჯგუფზე:

ვ) მათემატიკა;
ზ) ქიმია;
თ) ფიზიკა;
ი) ბიოლოგია.

ჯგუფისათვის გამოყოფილი თანხის 4% თანაბრად გადანაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო 96% პროპორციულად გადანაწილდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჯგუფის ყოველი არჩევითი საგნისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობის პროპორციულად.

აკადემიურ პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისა და აბიტურიენტის აბსოლუტური ქულის გამოთვლისთვის ყველა საგამოცდო საგანს აქვს თავისი წონა (ზოგადი უნარების გამოცდას – 1.5, ხოლო ყველა სხვა საგამოცდო საგანს – 1). თითოეულ გამოცდაში მოპოვებული სკალირებული ქულა მრავლდება საგრანტო საგნის წონაზე და მიღებული ქულები ჯამდება.

მაგალითად: თუ აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 169,1, ზოგად უნარებში – 165,7, უცხოურ ენაში – 164,8 და მათემატიკაში – 164,0 ქულა, მისი აბსოლუტური (საგრანტო) ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: 169,1 + 165,7X1,5 + 164,8 + 164,0= 746,45. მიღებული ჯამი მრავლდება 10-ზე, ანუ აბსოლუტური საგრანტო ქულა იქნება 746,45X10= 7464,5. სახელმწიფოს მიერ სახე ლმწი ფო სასწავლო გრანტისათვის გამოყოფილი თანხის წლიური მოცულობა განაწილდება შემდეგი პრინციპით:

სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა მოხდება არა ერთიანი რეიტინგული სიის მიხედვით, არამედ ყოველი არჩევითი საგნისათვის (ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება) შედგება საგრანტო (აბსოლუტურ) ქულაზე დაფუძნებული რეიტინგული სია და კონკრეტული არჩევითი საგნისათვის გამოყოფილი თანხა ამ რეიტინგული სიის მიხედვით განაწილდება. **მაგალითად:** სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით ერთმანეთს კონკურენციას გაუწევს ყველა ის აბიტურიენტი, რომლებმაც ჩააბარეს მათემატიკა, ზუსტად ასევე ერთმანეთს შეეჯიბრებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს ქიმია, ლიტერატურა და ა.შ.

➢ თუ აბიტურიენტი ჩააბარებს რამდენიმე არჩევით საგანს, ის სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებს სავალდებულო საგნების გამოცდებისა და იმ არჩევითი საგნის გამოცდის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქულების საფუძველზე, რომლითაც ის მიიღებს სწავლის გაგრძელების უფლებას კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

➢ თუ აბიტურიენტი ჩააბარებს საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილ ორ ან მეტ არჩევითი საგნის გამოცდას და გადალახავს კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს, ის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობას მიიღებს იმ არჩევითი საგნის გამოცდაში მოპოვებული ქულით, რომლითაც მეტ დაფინანსებას მოიპოვებს, მიუხედავად იმისა, რომელი გამოცდის შედეგით მოხდება ჩარიცხვა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

როგორ გაიცემა სახელმწიფო სასწავლო გრანტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე?

სახელმწიფო დაფინანსება (100%-ის ოდენობით) გაიცემა სპეციალურად ამ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტის ან აფხაზური ენის ან ოსური ენის გამოცდის შედეგის საფუძველზე. რეიტინგული სია, გამოცდის ენის მიხედვით, ზოგადი უნარების შედეგის საფუძველზე შედგება (მაგ.: მათთვის, ვინც ჩააბარა ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი, შედგება ცალკე რეიტინგული სია. ანალოგიურად შედგება სია მათთვის, ვინც ჩააბარა ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი და ცალ-ცალკე მათთვის, ვინც ჩააბარა აფხაზური ან ოსური ენები).

საგამოცდო პროცესი

სად მიიღებენ აბიტურიენტები საგამოცდო ბარათებს?

აბიტურიენტები საგამოცდო ბარათებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ კომპიუტერზე ამობეჭდავენ პირადი გვერდიდან (გვერდი, სადაც აბიტურიენტი ირჩევს გამოცდებს, ნახულობს შედეგებს). საგამოცდო ბარათზე მითითებული იქნება საგამოცდო ცენტრის მისამართი, თითოეული გამოცდის თარიღი და რეგისტრაციის დაწყების დრო. საგამოცდო ბარათი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად იქნება აბიტურიენტის საშვი მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში.

სად და როდის გაივლიან აბიტურიენტები სახელოვნებო და სასპორტო ტურებს, აგრეთვე სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ კონკურსს?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ჩაატარებენ სპეციალურ შემოქმედებით და სასპორტო ტურებს (კონკურსს), სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ კონკურსს და შესაბამისი ქულებით შეაფასებენ აბიტურიენტებს. ამ ინფორმაციას დადგენილ ვადაში მიაწვდიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს. შემოქმედებითი ტურების, კონკურსის სახელწოდებებსა და ინფორმაციას მათი ჩატარების ვადებისა და პროცედურების შესახებ გამოაქვეყნებენ თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

რა უნდა იქონიოს თან აბიტურიენტმა გამოცდაზე გამოცხადებისას?

- საგამოცდო ბარათი;
- პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი ან სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამოწმებული განაცხადი/განცხადება-ანკეტა/ამონაბეჭდი ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პირის ფერადი ფოტოსურათი, სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

სურვილის შემთხვევაში, გელიანი (ე.წ. ტუშის) შავი ფერის კალამი, 0,5-0,7მმ. ბურთულიანი წვერით.

როგორ მიმდინარეობს საგამოცდო პროცესი?

აბიტურიენტი ცხადდება საგამოცდო ბარათზე მოცემულ საგამოცდო ცენტრში მითითებულ დროს. რეგისტრაციის გავლამდე აბარებს ზედმეტ ნივთებს. რეგისტრაციის გავლის შემდეგ იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს შესაბამის სექტორში. აბიტურიენტი მიიღებს პასუხების ფურცელს და ფურცელს შავი სამუშაოსათვის, ასევე გამოცდით გათვალისწინებულ დამხმარე მასალას (მაგ.: რუკა, მენდელეევის ცხრილი). აბიტურიენტს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია გამოიყენოს საკუთარი

ერთიანი ეროვნული გამოცდები — 2019

შავი ფერის გელიანი (ე.წ. ტუშის) კალამი 0,5-0,7მმ. ბურთულიანი წვერით. ანონიმურობის უზრუნველსაყოფად პასუხების ფურცელზე დაიკვრება ინდივიდუალური შტრიხკოდი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მისი დაკეცვა ან დაჭმუჭვნა, რაიმე ჩანაწერის გაკეთება (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს). **სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**

ყველა საგამოცდო სექტორში დამონტაჟებული იქნება ვიდეოკამერა, ჩაიწერება მთელი საგამოცდო პროცესი და შეიქმნება ვიდეოარქივი; საგამოცდო დროის ამოწურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში, დამკვირვებელი ამოწმებს აბიტურიენტის პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც აბიტურიენტი ადასტურებს უწყისში ხელმოწერით და ამის შემდეგ დამკვირვებელს აბარებს ნამუშევარს; საგამოცდო პროცესი ამით სრულდება. პასუხების ფურცლები ილუქება და იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ მიაჩნია, რომ გამოცდის მიმდინარეობისას მის მიმართ დაირღვა დადგენილი წესები ან ტესტირების პროცედურები?

ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა გამოცდის დღის 21:00 საათამდე განცხადებით უნდა მიმართოს (პროცედურული აპელაცია) იმ საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციას, სადაც ჩააბარა გამოცდა. განცხადება საპრეტენზიო კომისიას გადაეცემა არაუგვიანეს მომდევნო დღისა და განიხილება განაცხადის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში. პასუხს განმცხადებელი **გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში შეიტყობს.**

წესები, რომლებიც უნდა დაიცვას აბიტურიენტმა გამოცდის მიმდინარეობისას:

წესები ემსახურება გამოცდის მიმდინარეობისას აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნას, თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.

• აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათში აღნიშნულ მისამართზე, ბარათში მითითებული განრიგის მიხედვით და გაიაროს რეგისტრაცია. გაითვალისწინეთ – **რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება**;

• რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე (ბარათზე მითითებულია რეგისტრაციის დაწყების დრო);

აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი ან სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამოწმებული განაცხადი/განცხადება-ანკეტა/ამონაბეჭდი ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პირის ფერადი ფოტოსურათი, სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა წყლის (პლასტმასის ბოთლით), პირადი ჰიგიენის ნივთებისა და სურვილის შემთხვევაში, შავი ფერის გელიანი (ე.წ. ტუშის) კალმისა (0,5-0,7მმ. ბურთულიანი წვერით).

• აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს აბიტურიენტის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ წესებს.

გაითვალისწინეთ, რომ **აბიტურიენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან:**

• ლექსიკონის, დამხმარე მასალის, ე.წ. „შპარგალკის“, მობილური ტელეფონის, ე.წ. ტაბლეტის, საათის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული აპარატურის აღმოჩენისას (თუნდაც ელექტრონული ხელსაწყო გამორთული იყოს);

• წესრიგის უხეში დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;

• ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

ჩამოთვლილის გარდა, ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას აბიტურიენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია, გამოცდიდან მოხსნას აბიტურიენტი.

გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტები გაეცნობიან წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან ტესტირების პროცესში:

• აბიტურიენტები უნდა დასხდნენ რეგისტრაციისას მითითებულ სამუშაო მაგიდასთან; მაგიდაზე, რომელზეც განთავსებულია კომპიუტერი, მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, გელიანი (ე.წ. ტუშის) შავი ფერის კალმის, პასუხების ფურცლისა და შავი სამუშაოსთვის განკუთვნილი ფურცლის ან გამოცდით გათვალისწინებული დამხმარე მასალის (მაგ.: რუკა, მენდელეევის ცხრილი) დადება შეიძლება – არც ერთი სხვა ნივთი არ უნდა იდოს სამუშაო მაგიდაზე (წყალი პლასტმასის ბოთლით, შეუძლიათ დადონ იატაკზე).

• პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით უნდა შეამოწმოთ პასუხების ფურცელი დამკვირვებელთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ დაუზიანებელია – ეს სექტორის უწყისში ხელმოწერით უნდა დაადასტუროთ;

• ხარვეზიან პასუხების ფურცელს ახლით შეგიცვლიან;

• პასუხების ფურცელზე დამკვირვებლის მიერ დაკრული შტრიხკოდის ნომერი (რომელიც ემთხვევა მაგიდის ნომერს) თავად უნდა ჩაწეროთ სექტორის უწყისის შესაბამის გრაფაში;

• ტესტზე მუშაობა იწყება სისტემაში სპეციალური კოდის შეყვანის შემდეგ.

საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს.

გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე დამკვირვებელი შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა;

დრო ემატებათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც წინასწარ მოითხოვეს სპეციალური პირობების შექმნა და წარმოადგინეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა, რის საფუძველზეც ცენტრში შექმნილმა კომისიამ დროის დამატებასთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება;

თუ დროზე ადრე დაასრულებთ მუშაობას, მიმართავთ დამკვირვებელს, რომელსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ პასუხების ფურცელს, ასევე შავი სამუშაოსთვის განკუთვნილ ფურცელს. ნაშრომის ჩაბარების შემდეგ კი დატოვებთ საგამოცდო სექტორს. პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში; აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს დამკვირვებლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან მოხსნის თაობაზე.

პირველადი შედეგების გამოცხადება

რა შემთხვევაში არ სწორდება ნაშრომი?

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

• პასუხების ფურცელი ან შტრიხკოდი დაზიანებულია;

• აბიტურიენტი საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ ჩააბარებს პასუხების ფურცელს;

• პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან.

აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირების პროცედურის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში საპრეტენზიო კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება აბიტურიენტის ნაშრომის ნული ქულით შეფასების თაობაზე.

გახსოვდეთ, არ შეიძლება:

• პასუხების ფურცლის გაკეცვა, შტრიხკოდის გაფერადება, დაზიანება და ა.შ.;

• გამოცდის მიმდინარეობისას აბიტურიენტების ერთმანეთთან გადალაპარაკება;

• დახმარების მცდელობა ან სხვა პირისაგან დახმარების მიღება;

• დახმარების აღმოჩენის/მიღების ან საუბრის შემთხვევაში აბიტურიენტი მიიღებს გაფრთხილებას (გაითვალისწინეთ, რომ განმეორებითი გაფრთხილების შემთხვევაში აბიტურიენტი იხსნება გამოცდიდან).

სად და როგორ შეიტყობენ აბიტურიენტები პირველად შედეგებს?

ნაშრომების გასწორების პროცესის დასრულების შემდგომ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები – აბიტურიენტების მიერ თითოეულ საგანში მიღებული ნედლი ქულა. ყველა აბიტურიენტს ექნება შესაძლებლობა, ნახოს პასუხების ფურცლები, რომლებიც განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. აბიტურიენტი სპეციალური საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით, შეძლებს იხილოს და ამობეჭდოს პასუხების ფურცლის ასლი სასურველ საგანში.

აპელაცია

როგორ ხდება ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადების შეტანა?

თუ აბიტურიენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მას შეუძლია გააპროტესტოს ცალკეულ საგამოცდო საგანში მიღებული შეფასება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. ამ შემთხვევაში მან უნდა შეავსოს ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადი.

საპრეტენზიო განაცხადის ინტერნეტით შევსებისათვის საჭირო პროცედურები და ვადები განთავსდება შემდეგ ვებგვერდებზე: www.naec.ge; online.naec.ge.

საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასური განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით (ერთი საგნისათვის).

გადახდის შესაძლო საშუალებები და საბანკო მომსახურების საკომისიო:

1. ცენტრის ვებგვერდიდან – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი;

2. „საქართველოს ბანკის“ სერვის ცენტრები – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი;

3. ვებგვერდზე ipay.ge – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

4. „საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

5. „საქართველოს ბანკის“ ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით – ibank.ge – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

6. „თიბისი ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;

7. PayBox-ის თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი.

საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დანიშნულებაში საქართველოს მოქალაქე უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელს და პირად ნომერს. უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც დარეგისტრირდება, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელს, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის/პასპორტის სერიას და ნომერს (პასპორტის სერიის ყველა სიმბოლო, იქნება ეს ციფრები თუ ასოები, ივსება მიყოლებით, სივრცის დატოვების გარეშე).

განაცხადში მითითებული უნდა იყოს იმ დავალებების ნომრები, რომელთა შეფასებასაც აბიტურიენტი არ ეთანხმება. გასწორებისას შემოწმდება მთლიანად დავალება და არა დავალების თითოეული კრიტერიუმი (ქვედავალება).

საგნობრივი კომისია გადაწყვეტილებას იღებს საპრეტენზიო განაცხადების წარმოდგენის დასრულებიდან 20 დღის ვადაში. საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. იმ შემთხვევაში, თუ აპელაციის შედეგად შეიცვლება ნამუშევრის შეფასება, ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში აბიტურიენტმა უნდა შეავსოს აპელაციისათვის გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის განაცხადი შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. თანხა დაბრუნდება განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, აპლიკანტის მიერ განაცხადზე დართულ საბანკო რეკვიზიტებზე.

სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტმა კომპეტენციის მინიმალური ზღვარი უნდა გადალახოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მითითებულ ყველა საგანში (გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომლებზეც დაწესებულია უფრო მაღალი ზღვარი). მიღებული ქულების გათანაბრების შემდეგ ზღვრის გადალახვის შანსს ინარჩუნებენ ის აბიტურიენტებიც, რომლებმაც შეასრულეს შედარებით რთული ვარიანტი და ზღვართან მიახლოებული ქულა მიიღეს.

რას ნიშნავს ქულების გათანაბრება?

გამოცდა ზოგიერთ საგანში რამდენიმე სესიად მიმდინარეობს, რაც განაპირობებს საგამოცდო ტესტების სხვადასხვა ვარიანტის გამოყენების აუცილებლობას. შესაძლოა, კონკრეტული საგნის ტესტის სხვადასხვა ვარიანტი სირთულის თვალსაზრისით უმნიშვნელოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამიტომ, აბიტურიენტებისათვის თანაბარი საკონკურსო პირობების შესაქმნელად, გამოიყენება ქულების გათანაბრება (დეტალური ინფორმაცია გამოქვეყნდება ვებგვერდზე www.naec.ge).

როგორ გამოიანგარიშება საკონკურსო ქულა თითოეულ აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე?

საკონკურსო ქულის (რომლის მიხედვითაც ხდება სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება) გამოანგარიშება ხდება შემდეგნაირად: თითოეული გამოცდის სკალირებული ქულა გამრავლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის მინიჭებულ კოეფიციენტებზე და შედეგები შეჯამდება.

მაგალითად: აბიტურიენტმა მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში 151,6; ზოგად უნარებში – 148,3; უცხოურ ენაში – 145,6; მათემატიკაში – 154,0. ამ გამოცდების კოეფიციენტები ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისად არის 4; 3; 3; 2. ჯამური საკონკურსო ქულა იქნება 151,6X4 + 148,3X3 + 145,6X3 + 154,0X2 = 606,4 + 444,9 + 436,8 + 308,0 = 1796,1. სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის, თუ მას განსხვავებული კოეფიციენტები აქვს მინიჭებული ამ გამოცდებისათვის, ანალოგიური წესით გამოთვლილი ჯამური საკონკურსო ქულა განსხვავებული იქნება. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საკონკურსო ქულის გამოთვლისას უნდა გამოიყენოთ მხოლოდ იმ გამოცდების შედეგები, რომლებიც მითითებული აქვს ამ საგანმანათლებლო პროგრამას.

საბოლოო შედეგები

სად და როდის გამოცხადდება ინფორმაცია აბიტურიენტის მიერ სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების შესახებ?

საგნობრივი კომისიის მიერ აბიტურიენტთა ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოაქვეყნებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს. შედეგების გაცნობა შესაძლებელი იქნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.

სად შეიტყობენ აბიტურიენტები ინფორმაციას სწავლის გაგრძელების უფლებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ?

აბიტურიენტები სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ ინფორმაციას შეიტყობენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge), ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინებებით.

როდის გამოქვეყნდება სწავლის გაგრძელების უფლებამოპოვებულ აბიტურიენტთა სია?

საგნობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი ამტკიცებს კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს (სადაც მითითებულია, თუ რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიპოვა აბიტურიენტმა სწავლის გაგრძელების უფლება), ასევე აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტს (რომელშიც მითითებულია ინფორმაცია სახელმწიფო სასწავლო გრანტის თაობაზე). ეს ინფორმაცია განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე და **დაიგზავნება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რის შემდეგაც აბიტურიენტებმა ჩარიცხვის მიზნით უნდა მიმართონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.**

გისურვებთ წარმატებას!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
ცხელი ხაზი: (032) 2 47 33 33.
ვებგვერდი: www.naec.ge
ელექტრონული ფოსტა: info@naec.ge

გამოცდილება

ჩვენი კლასი „ცხოვრების სკოლაა“

მზია სალაძე
სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

სკოლა, როგორც ამბობენ, **„ცხოვრების სკოლაა“.** აქ მოზარდი არა მარტო საშუალო განათლებას იღებს, არამედ პიროვნებადაც ყალიბდება. აქ ხდება მისი ფორმირება მოქალაქედ და საზოგადოების სრულყოფილ წევრად. **კლასი კი, შეიძლება ითქვას, მცირე სოციალური მოდელია, სადაც მკაფიოდ წარმოჩნდება ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანების ურთიერთობა და ყალიბდება დამოკიდებულება.** მასწავლებლებს მუდმივად გვიწევს აღელვებული ბავშვების დამშვიდება ისეთ სიტუაციებში, როცა დაპირისპირებულ მხარეებს არ სურთ ერთმანეთის მოსმენა, პატივს არ სცემენ სხვის აზრს და არ შეუძლიათ თანამშრომლობა!

ზოგიერთი ბავშვისთვის სკოლა ტანჯვისა და სტრესის მიზეზია. შესაძლოა, იგი გახდეს დაცინვისა და აბუჩად აგდების, თანატოლთა ან უფროსკლასელთა მხრიდან ძალადობის (ძალადობა – ცემა, მუქარა, დამცირება, ჭორების გავრცელება...) მსხვერპლი.

პროცესის აღწერა

ხშირად ბავშვები ვერ არჩევენ, სად გადის ზღვარი ბავშვურ ცელქობასა და აგრესიას შორის. მასწავლებლები, განსაკუთრებით კი კლასის ხელმძღვანელები, ფხიზლად უნდა ადევნებდნენ თვალს მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებას, მათი ვალია, აღმოაჩინონ თავისი კლასის პრობლემა და მონახონ გონივრული გამოსავალი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ პრობლემასთან დაკავშირებით მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს მოსწავლეა პრობლემის გადამჭრელი, იგი ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძებს გამოსავალს და მისი მოგვარების საუკეთესო გზას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა ღია და მხარდამჭერ გარემოში მიმდინარეობს, სადაც მოსწავლე არის აქტიური და საკუთარ თავზე ორიენტირებული, ხოლო მასწავლებელი – თანამშრომელი, რომელიც მოსწავლეს აჩვენებს სწავლის მიმართ ენთუზიაზმისა და ინტერესის მაგალითს, ხდება მრჩეველი, ინფორმაციის მიმწოდებელი და შემფასებელი, ხელმძღვანელობს მოსწავლეს პრობლემის გადაჭრის მცდელობებისას.

სწორედ ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩავატარე პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი „მე და საზოგადოებაში“, მესამე კლასში. გაკვეთილის თემა – **ჩემი კლასი.**

გაკვეთილის მნიშვნელობა და აქტუალობა: **მოსწავლეს საკლასო გარემოში უყალიბდება ადეკვატურად და ეთიკურად მოქმედების უნარი; სოციალიზაციის, თვითგამოხატვის და აქტიური მოქალაქის მნიშვნელობის გააზრება; საკლასო გარემოში ურთიერთობების გააზრება.**

თემიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბე გაკვეთილის მიზანი: **ძალადობის რაობის გაგება. ძალადობის გაცნობიერება, პრობლემის იდენტიფიცირება, შეფასება და მისი ანალიზი. საკითხთან დაკავშირებით არგუმენტირებული მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზების შერჩევა.**

თემის შერჩევის შემდეგ დავიწყე გაკვეთილის დაგეგმვა. გაკვეთილის მიზანი ჩამოვაყალიბე ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან, მოსწავლეთა საჭიროებიდან, მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. გაკვეთილის მიზნების მისაღწევად შევარჩიე მეთოდები და აქტივობები.

გაკვეთილი დავიწყე საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით – მოსწავლეებს გავაცანი გაკვეთილის თემა, მიზანი, გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები, აქტივობები, რომლებიც დაეხმარებათ მიზნის მიღწევაში; მოსწავლის შეფასების რუბრიკა; შევახსენე გაკვეთილზე ქცევის წესები.

აქტივობა1. მეთოდი „თხუნელა“. გავაცანი სქემა:

1. „ღრუბლებში“ იწერება, როგორი ურთიერთობები უნდა იყოს მეგობრულ კლასში; 2. „მიწაში“, თხუნელასთან, იწერება არსებული პრობლემები, რომლებსაც გადავლახავთ. 3. „სახლში“, იწერება ის, რასაც რეალურად გავაკეთებთ ან გავაკეთეთ. ვთხოვე, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება, **როგორი ურთიერთობები უნდა იყოს მეგობრულ კლასში?** (ურთიერთგაგება, სიყვარული, სიკეთე, თანადგომა, ურთიერთდახმარება, მეგობრობა, გულმოწყალება...). მოსწავლეების პასუხები ჩავწერე სქემაზე „ღრუბლებში“.

აქტივობა 2. გასეირნება ფოტოგალერეაში: დაფაზე გამოკრული იყო ბულინგის/ძალადობის ამსახველი ფოტოები. მოსწავლეებს ვთხოვე დაეთვალიერებინათ ფოტოგალერეა და გამოეთქვათ ვარაუდები: **რას გამოხატავენ ეს სურათები? რატომ გამოიყურებიან ასე ეს ადამიანები?**

პასუხების მოსმენის შემდეგ ფოტოგალერეას დიდი ასოებით დავაწერე სიტყვა **„ბულინგი“**, გავაცანი ამ სიტყვის მნიშვნელობა, რომ ფოტოებზე გამოსახული ყველა სახის ქმედება არის ძალადობა და ძალადობის საერთო სახელია **„ბულინგი“.** ვესაუბრე კლასში მოსწავლეების ურთიერთობებზე, ის, რაც „ღრუბლებში“ ჩაწერეს, კარგია, მაგრამ კლასში, მოსწავლეებს შორის ურთიერთობები ყოველთვის ასეთი არ იყო.

აქტივობა 3. თანატოლის ვიდეოწერილი

მოსწავლეებს ვუთხარი, რომ მათმა თანატოლმა, რომელმაც იცოდა, რაზე იქნებოდა დღევანდელ გაკვეთილზე საუბარი, გამოგზავნა წერილი-მომართვა, რომელშიც სთხოვს მესამეკლასელებს, მისცენ რჩევა პრობლემის გადასაჭრელად.

> *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს მოსწავლეა პრობლემის გადამჭრელი, იგი ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძებს გამოსავალს და მისი მოგვარების საუკეთესო გზას.*

შევთავაზე, ნახონ ვიდეოწერილი-მიმართვა, გამოგონილი პერსონაჟით და პრობლემით. ვაჩვენე მათ ვიდეოწერილის გარკვეული მონაკვეთი, ვთხოვე დაწყვილებულიყვნენ და ნახვის შემდეგ გამოეხატათ თავიანთი შთაბეჭდილებები, ეპასუხათ შეკითხვებზე: **რა ემოცია მოგგვარათ ფილმმა? ძალადობის რა სახე ამოიცანით მასში? საიდან მოდის ძალადობა ? რა სახის პრობლემები არსებობს კლასში?**

მათი პასუხები ჩავწერე **სქემის „თხუნელა“ შესაბამის გრაფაში.**

აქტივობა 4. დისკუსია ვიდეოწერილის ირგვლივ. წყვილები

მოსწავლეებს შევთავაზე, ემსჯელათ და გამოეთქვათ ვარაუდი წერილში ასახულ პრობლემასთან დაკავშირებით, წყვილებში, არგუმენტირებული მსჯელობით და პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზების შერჩევით. ვთხოვე, გამოეთქვათ ვარაუდი: **როგორ დასრულდება ვიდეოწერილი? როგორ მოიქცევიან კლასელები? როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა, ძალადობას ძალადობითვე ვუპასუხოთ თუ მშვიდობიანად? რა რჩევებს სთავაზობენ პრობლემის გადასაჭრელად.**

მიღებული რჩევები, პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებული გზები ჩავწერე **სქემის „თხუნელა“** შესაბამის გრაფაში.

გავაგრძელე ვიდეოწერილი და მოსწავლეებს შევეკითხე: **დაემთხვა თუ არა მათი მოსაზრებები ამბის დასასრულს?** მოსწავლეები აფიქსირებენ პასუხებს.

დასკვნა

ამრიგად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. იგი ჩართულია აქტიურ სწავლაში, მუშაობს რეალური პრობლემის გადაჭრაზე, რის გამოც სწავლა უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. ეს ჩვევა მომავალში დაეხმარება მოსწავლეს რეალური ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში, რაც უფრო კომპლექსური შეიძლება იყოს და რომლის მოსაგვარებლად მხოლოდ ერთი გზა არც არსებობს. სწორედ ამგვარი უნარ-ჩვევების განვითარება არის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი მიზანი. ძალადობა მრავალი ფორმით გვხვდება და მას შედეგებიც განსხვავებული აქვს. ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სიტუაციის შეფასებისთვის, ბულინგის ამოცნობისა და შესაბამისად, პრევენციის დაგეგმვისთვის.

ბავშვები საკმაოდ ადრეულ ასაკში ამჟღავნებენ სხვის ემოციებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. მათ შეუძლიათ, გააზრებულად დააყენონ საკუთარი თავი სხვის ადგილას და დაფიქრდნენ იმაზე, როგორი მოქმედება იქნება უფრო შესაფერისი კონკრეტული სიტუაციისთვის. იმის გაგებას, როგორ გრძნობენ თავს ადამიანთა განსაზღვრული სოციალური ჯგუფები, მოზარდი უკვე გარდამავალი ასაკიდან იწყებს – იმ შემთხვევაში, თუ მოზარდის ამ მიმართულებით აღზრდა არასწორად წარიმართა, იგი შეუბრალებელი ხდება; მისგან მოდის უარყოფითი დამოკიდებულება: დაცინვა, დაჩაგვრა, შეურაცხყოფა... შემდეგ კი მოსალოდნელია, რომ თავად აღმოჩნდეს დაჩაგრულის პოზიციაში, ბავშვები ცდილობენ ხოლმე სამაგიეროს გადახდას. ამ შემთხვევაში, დიდია მასწავლებლის როლი, როგორ დაგეგმავს სხვადასხვა აქტივობებს, გაკვეთილი იქნება ეს თუ კლასსაათი, ჩართავს თუ არა მოსწავლეებს დისკუსიაში, რომ სწორი დასკვნები გამოიტანონ: გამოვხატოთ თანაგრძნობა, თუ კბილი კბილის წილ და სამაგიერო გადავუხადოთ. **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ბავშვებმა ძალადობას სიკეთე დაუპირისპირონ და სიკეთე, თანადგომა, ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა აირჩიონ.**

სიკეთის კეთება ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილია, რომლის გარეშეც სიცოცხლეს ფასი ეკარგება, სიკეთის მარცვალი თითოეულ ადამიანშია, მთავარი მისი გაღვივებაა. ბავშვობიდანვე გვასწავლიან, რომ სიკეთე, თანაგრძნობა, დახმარების გაწევა საუკეთესო ადამიანური თვისებებია. სიკეთის გამოვლინების თითოეული აქტი, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, კმაყოფილებას ანიჭებს როგორც მის ადრესატს, ასევე გამცემს. ყოველი კეთილი საქციელი დადებითი ფსიქოლოგიური სტიმულია ბავშვისთვის, დადებითი ემოციური განწყობა კი ხელს უწყობს სწავლის პროცესს. ამგვარად, რაც უფრო ხშირად მოიმოქმედებს ბავშვი რაიმე კეთილ საქციელს, მით უფრო მეტად იცვლება მისი ხასიათი და აზროვნება უკეთესობისაკენ.

> *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. იგი ჩართულია აქტიურ სწავლაში, მუშაობს რეალური პრობლემის გადაჭრაზე, რის გამოც სწავლა უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. ეს ჩვევა მომავალში მას რეალური ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება. სწორედ ამგვარი უნარ-ჩვევების განვითარება არის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი მიზანი.*

საბოლოოდ იმსჯელეს, როგორი ურთიერთობები უნდა იყოს მეგობრულ კლასში?

განსაკუთრებით ეფექტური იყო გაკვეთილზე თანატოლის ვიდეოწერილის წარდგენა და განხილვა, რადგანაც მოსწავლეებმა თანატოლის კონკრეტულ მაგალითზე დაინახეს პრობლემა, ნახეს მათთვის ნაცნობი ქმედებები, რასაც ზოგიერთი ჩადიოდა კიდეც, ამოიცნეს ძალადობის სახეები, ვიდეოწერილის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში თამამად ერთვებოდნენ, მსჯელობდნენ როგორ მოგვარდეს პრობლემა, თანატოლებს აძლევდნენ რჩევებს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ გამოიტანეს დასკვნა – ძალადობას ძალადობით არ უნდა ვუპასუხოთ, ძალადობას სიკეთით, მეგობრობით, თანადგომით, ურთიერთგაგებით, სიყვარულით უნდა დავუპირისპირდეთ.

აქტივობა 5. „პერსონაჟის რუკა“ დავამატე, რადგან მოსწავლეების პასუხებმა დამარწმუნა, რომ სწორად შეაფასეს პერსონაჟი. სქემა მოითხოვდა გრაფებში ჩაწერას: **როგორია პერსონაჟი დასაწყისში; როგორია პერსონაჟი ბოლოს; როგორ შეიცვალა პერსონაჟი; რატომ შეიცვალა პერსონაჟი.** სქემის შევსებისას მოსწავლეებმა თანმიმდევრობით აღწერეს ის ცვლილებები უკეთესობისაკენ, რაც განიცადა ვიდეოწერილის მთავარმა პერსონაჟმა.

დასასრულ, შევაჯამეთ გაკვეთილი, შევაფასე მოსწავლეები, მივეცი განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეებმაც შეაფასეს გაკვეთილი და გააკეთეს თვითშეფასება. დავურიგე **„გასასვლელი ბილეთები“,** სადაც ჩაწერეს: რა მისცა მათ დღევანდელმა გაკვეთილმა, რა გაიგეს, რა იცოდნენ და რა უნდათ, რომ გაიგონ შემდეგში, ამ თემასთან დაკავშირებით.

გაკვეთილი საინტერესო და მიზნობრივი იყო. ამ გაკვეთილმა მოსწავლეებს საშუალება მისცა, დაენახათ, რა ზიანი მოაქვს ძალადობას თანატოლებისთვის. გაიაზრეს, რამდენად მნიშვნელოვანია თანაგრძნობა და ურთიერთპატივისცემა. მათში სიკეთე და თანაგრძნობა გააღვივა. მოსწავლეებს შეეძლებინე, საკუთარი თავი სხვისი თვალით დაენახათ, ჩაღრმავებოდნენ თავიანთ ქცევას და სხვაზე ფიქრი ესწავლათ. გაკვეთილმა მიზანს მიაღწია, კლასში იკლო მსგავსმა პრობლემებმა, ვაკვირდებოდი კლასს და მიხაროდა, ჩემი გაკვეთილი პროდუქტიული გამოვიდა.

საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვები, ძალადობის ნაცვლად, ირჩევენ სიკეთეს და არა ბოროტებას. თუ ვხედავთ, რომ ბავშვი ამჟღავნებს თანაგრძნობას, თანაგანცდას, სიბრალულს ვინმეს მიმართ, ის აუცილებლად უნდა შევაქოთ და მოვიწონოთ მისი საქციელი, რათა მომავალშიც გაუჩნდეს მსგავსად მოქცევის სურვილი.

ბავშვებთან ურთიერთობისა და მათთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ბავშვები ყოველთვის გამოირჩეოდნენ და დღესაც გამოირჩევიან ემპათიის ისეთი საოცარი უნარით, რომ ცალკეულ შემთხვევაში, ალბათ, ჩვენ, უფროსებს, ამ მიმართულებით, უფრო მეტის სწავლა შეგვიძლია მათგან, ვიდრე მათ – ჩვენგან.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ესგ-ს მოქმედი ვერსია;
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – „სკოლაში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“;
3. სტატია „პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი დაწყებით კლასებში“ – http://mastsavlebeli.ge/?p=14701.

ქართული ენის სწავლებისთვის

დიალექტური ხარვეზების დაძლევისათვის

ეს სტატია ანალიტიკური ამონარიდია ჩემი პედაგოგიური კვლევის ანგარიშიდან თემაზე: „ქართული ენის სწავლებით დიალექტური მეტყველების დაძლევისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილება“.

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რატომ ავირჩიე დასახელებული თემა: სკოლა, სადაც მე ვმუშაობ, აჭარულ დიალექტურ არეალშია. რთული არაა იმის წარმოდგენა, რომ პატარები თავიდანვე ამ დიალექტის გარემოში იზრდებიან და სკოლაშიც შესაბამისი მეტყველებით მოდიან.

სკოლის ამოცანაა, მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ლიტერატურული მეტყველების უნარ-ჩვევები, მაგრამ ამის მიღწევა არსებული სახელმძღვანელოებით შეუძლებელია, მათში გრამატიკაც არაა წარმოჩენილი სისტემური სახით და დიალექტზე ხომ თითქმის არაფერია ნათქვამი. არადა, დიალექტურ გარემოში ესაა მთავარი.

ამ მიზნით, თავიდანვე, ჩავიფიქრე დიალექტური ხარვეზების ახსნა-განმარტებანი დამეკავშირებინა საგაკვეთილო პროცესში გრამატიკის საკითხების შესწავლასთან, რამაც გაამართლა.

კვლევაზე მუშაობა 2016 წელს დავიწყე, მეხუთე კლასში. მას შემდეგ უკვე მესამე სასწავლო წელი სრულდება და ვამთავრებ მორფოლოგიური საკითხების შესწავლას. მთავარი სამეტყველო ხარვეზები სწორედ ამ ნაწილთანაა კავშირში. რაც შეეხება სინტაქსის საკითხებს, ამ მხრივ მუშაობას მომდევნო კლასებში გავაგრძელებ, მაგრამ ძირითადი უკვე მიღწეულია: სინტაქსის საკითხებზეც შემიძლია მოსალოდნელი შედეგების გააზრება.

კვლევის მანძილზე, ა. შანიძის და ლ. კვაჭაძის სახელმძღვანელოებთან კავშირში (ჩემს სკოლაში ამ სახელმძღვანელოებით ვასწავლით გრამატიკას, კვირაში ერთი დამოუკიდებელი გაკვეთილის საშუალებით), ვიყენებდი აწგარდაცვლილი პროფესორის, შოთა ნიჟარაძის წიგნებს: 1. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი (სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1961 წ.), 2. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა (გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1971 წ.). ამ წიგნების გარდა, ვიყენებდი აგრეთვე მართლწერა-მართლმეტყველების საკითხებზე შექმნილ ლიტერატურასაც, რომელიც საკმაოდ მრავლადაა და აქ დასახელებას აზრი არ აქვს, პედაგოგები, ალბათ, იცნობენ.

რაც შეეხება დიალექტურ საკითხებთან კავშირში გრამატიკის სწავლებას, ამ მხრივ ლიტერატურა არ არსებობს (მე არ ვიცნობ).

მუშაობის პროცესში, მარტო კვლევის მიმდინარეობის ამსახველი მასალების რაოდენობამ, ხელნაწერი სახით, ასი თაბახის ფურცელს გადააჭარბა, კვლევის ანგარიშმა კი 38 ნაბეჭდი გვერდი შეადგინა. ამ ფორმატის მასალის სტატიაში წარმოჩენა შეუძლებელია, ამიტომ უმთავრესი დეტალებით შემოვიფარგლები, რითაც მკითხველი გაიგებს, როგორ წარმართოს საქმიანობა.

კვლევის დაწყების წინ გავეცანი სახელმძღვანელოებს და შემდეგ კარგად შევისწავლე შ. ნიჟარაძის წიგნებში წარმოდგენილი მეცნიერული მასალა. შემდეგ, სახელმძღვანელოს ამ ლიტერატურასთან შეჯერებით, შევადგინე ერთგვარი გეგმა, რომელიც მუშაობის პროცესში დაიხვეწა და მიიღო საბოლოო სახე, რომელსაც ამ სტატიაში წარმოვაჩენ.

იმის საჩვენებლად, როგორ ვაკავშირებდი ერთმანეთთან გრამატიკის და დიალექტის საკითხებს, მოვიტან ერთ მაგალითს.

ბრუნებისა და რიცხვის სწავლების დროს საჭირო გახდა, ყურადღება გამემახვილებინა იოტიან ფორმებზე სახელობით ბრუნვაში. აჭარელი ამბობს: *რამაზაი, დავითაი, ნინოი, კახაი, ელენეი*. ასე წარმოთქვამს სხვა არსებით სახელებსაც. მოსწავლეებს ავუხსენი იოტის გამოყენების არალიტერატურულობა.

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში, ასევე, გამოიყენება იოტი: რამაზაის, დავითაის, ნუნუის, ელენეით, კახაით. რაც შეეხება ვითარებით ბრუნვას, -ად ბრუნვის ნიშნის დ-ს ნაცვლად, დიალექტი ყოველთვის იყენებს თ-ს.

უფრო საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის წოდებით ბრუნვაში ადამიანის საკუთარი სახელების ბრუნვის ნიშნებით წარმოება: *მალხაზო – მალხაზავ, რომანო – რომანავ, ნინოვ, ნანავ* და ა.შ. ამ დიალექტური ხარვეზის დაძლევა მოსწავლეებმა უფრო იოლად შეძლეს.

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებს უკავშირდება ს და თ ბგერების დაკარგვა: *ქათმი ხორცი, ყურძნი წვენი*.

თავისებურია აჭარულ დიალექტში მრავლობითი რიცხვის წარმოება: *სხუანები, იგინები;* ზოგჯერ ებ ნიშანი იცვლება ეფ ნიშნით: *სიცხიეფი*.

რა თქმა უნდა, ამ ხარვეზების მარტო ახსნა არაა საკმარისი, მიღებული ცოდნა შემდეგ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ვარჯიშის, ტექსტების რედაქტირების და სხვა სამუშაოების შესრულების დროს.

ცხადია, მკითხველი დამეთანხმება, რომ მარტო თეორიული სწავლება ვერ იქნება საკმარისი, ყველაზე კარგი აღმოჩნდა სხვათა: თანაკლასელების, თანასკოლელების, თანასოფლელების და უფრო აქტიურად ოჯახის წევრთა მეტყველებაზე დაკვირვება, ნიმუშების აღნუსხვა და შემდეგ მათი დამუშავება.

აღნიშნულის გაკეთება, რა თქმა უნდა, დაუშვებელია ოჯახის წევრებთან შეუთანხმებლად. ჩემ შემთხვევაში, ექვსი მოსწავლის თორმეტი მშობლიდან, რვა უმაღლესი განათლებითაა, დანარჩენებიც აქტიურები არიან და მათი თანხმობის მიღება არ გართულებულა.

მოსწავლეთა მეტყველების სრულყოფისათვის აუცილებელია კიდევ ერთი პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც შეეხება მასწავლებელთა მეტყველებას. მეუხერხულება ამ საკითხზე მინიშნება, მაგრამ აუცილებელია აღვნიშნო, რომ სკოლებში, ყოველდღიურად, ხუთი-ექვსი გაკვეთილიდან, მეტყველების ნორმები დაცულია მხოლოდ ქართული ენა-ლიტერატურის გაკვეთილებზე, ანუ უხეში პერიფრაზით რომ ვთქვათ, ერთი მასწავლებლის აღმა ხნულს სხვები დაღმა ფარცხავენ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დიალექტური ხარვეზების დაძლევისას საუკეთესო ფორმაა ფოლკლორული მასალების ჩაწერა-ანალიზი. ისიც მინდა ვთქვა, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ვატარებდი შემაჯამებელ მუშაობას. მორფოლოგიის კურსის დასრულების შემდეგ, მექნება სამი სასწავლო წლის მანძილზე მიღწეული შედეგების შეჯამება.

ახლა მოკლედ მინდა შევჩერდე იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც კვლევის ანგარიშში მაქვს შეტანილი:

1. მეხუთე კლასიდან მოყოლებული, მეცხრეს ჩათვლით, ქართული ენის საპროგრამო საკითხების შესწავლის პარალელურად, აუცილებლად უნდა შევასწავლოთ მოსწავლეებს დიალექტური ხარვეზები და მათი ლიტერატურული ნორმებით ჩანაცვლების ფორმები:

- საკითხების დაკავშირება ერთმანეთთან საპროგრამო მასალის შევსებით უნდა ჩატარდეს;
- დიალექტური ხარვეზების უკეთ წვდომისათვის გამოვიყენოთ პროფესორ შ. ნიჟარაძის ზემოთ დასახელებული წიგნები, მაგრამ, რადგან ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული, კოლეგებს ვთავაზობ ჩემეულ პროგრამას, რომელშიც წარმოჩენილია ყველა დიალექტური ხარვეზი სახელმძღვანელოებთან შესაბამისობაში (თან ერთვის).

2. მოსწავლეთა მეტყველების დახვეწისათვის აუცილებელია დიალექტური საოჯახო გარემოს ზეგავლენის დაძლევა. ამ მიზნით, აუცილებელია მშობელთა მხარდაჭერის მიღება, მეტყველებისას მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა და შვილებისთვის უფლების მიცემა, ჩაიწერონ მათი მეტყველების ნიმუშები, რომელთა ანალიზი მასწავლებლის მონაწილეობით ჩატარდება.

3. მოსწავლეთა მეტყველების სრულყოფისათვის, საჭიროა თანასკოლელთა და თანასოფლელთა მეტყველების ხარვეზების შესწავლა და მათი ნიმუშების ანალიზი მასწავლებლის მონაწილეობით.

4. მოსწავლეთა მეტყველების დახვეწისათვის, აუცილებელია, გაკვეთილებზე გამართულად მეტყველებდეს ყველა მასწავლებელი. ამ მიზნით, უმთავრესია მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლება და მათთვის წრის ამუშავება, ერთი ან ორწლიანი პროგრამით.

და კიდევ: აუცილებელია მოსწავლის აქტიურ ლიტერატურულ გარემოში ყოფნა, რის უზრუნველყოფაც ყველაზე უკეთ მხატვრული ლიტერატურის სისტემატური კითხვით შეიძლება, რაც, სამწუხაროდ, დღეს უკვე პრობლემად იქცა.

დაპირებისამებრ, სტატიას დავურთავ სამუშაო პროგრამას.

ამასთან, მინდა ვუპასუხო ერთ კითხვას: ჩემი გამოცდილება გამოადგებათ აჭარის, ძირითადად, მისი მთიანეთის სკოლებს, როგორ უნდა იმოქმედონ სხვა სკოლებმა? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტზე არსებობს შ. ნიჟარაძის წიგნების მსგავსი გამოკვლევები, რაც ჩემი ორიენტირის შესაბამისად მუშაობაში გამოადგებათ.

დასასრულს, მკითხველებს მსურს, ვთხოვო: თუ არ დაიზარებენ, გამომეხმაურონ თავიანთი სურვილებით. ჩემი ტელეფონია: 595 504781.

დანართი

ქართული ენის გაკვეთილზე შესასწავლი დიალექტური საკითხები

№	სახელმძღვანელოს საკითხი	კლასი	აჭარული დიალექტის მიხედვით ასახსნელი პრობლემატიკა
1	ბგერითი შედგენილობა	V	აჭარულ დიალექტში დომინირებს ხმარებიდან გამოსული ასო იოტი – ასლანაი, დრუნჩაი, ბაბოი.
2	ფონეტიკური მოვლენები	V	ზმნისწინის ასიმილაცია : უუშვა, გუუშვა, დეეწია; დისიმილაცია: მ-ფ (აფხანაკი); დ-თ, ტ (მომხთარიყო, მოკტა); გ-კ (კიტარა, კარქი); ც-ზ (ოზდაათი, ოზდა-თხუთმეტი); ღ-ხ (ბახჩა, ბოხჩა); რ-ლ (ოროლი, არაფელი); მეტათეზისი – ჭროფლი, ზრუგი; ბგერათა შენაცვლება: ვ-ბ (დაბარცხნა, დაბიწყება); ვ-მ (მიწრო); მ-ნ (ხენწიფე, ანბავი); ნ-რ (ყურწი); ნ-ლ (ლემსი, ლაგანი); რ-ლ (ბულთი); ბგერათა დაკარგვა: ბრძ-ბძ (ბძანება, ბძოლა, ბძენი); გრძ-გძ (გძელი) ; ფრთ-ფთ (ფთხილი); ჩრდ-ჩდ (ჩდილი); მ ბგერის დაკარგვა (ტევანი, ტერი); ვ ბგერის დაკარგვა (ექსი, მოკტა, წასლა); ბგერის გაჩენა- ჰალალი, ჰარამი, გაჰაზირება და სხვ.
3	აფიქსები და მათი დანიშნულება	V	ულ სუფიქსი შეცვლილია ილ სუფიქსით: გაწურვილი, გაბუტვილი; ება-ილ (გამზადილი, გავსილი, დაძახილი); სი-ილ ხდება სი-ერ (სიმძულვარე); გვხვდება მი-სა-ო: მისაჭმელო; ეულ-ევლ: შაქირასევლი, ბაბასევლი; ოვან სუფიქსში იკარგება ო: ფერვანი, გულვანი; ელ სუფიქსი სულ დაკარგულია: უსტავლი; ელ სუფიქსი იცვლება ულა სუფიქსით (შარშანდულა, გუშინდულა); ელ სუფიქსი იცვლება ურ-ით (დანდალვურაი, ჭვანურაი); მო-ლი პრეფიქს-სუფიქსი მო-ვი სახით (მოცალივი); ულა, კა აწარმოებენ კნინობას: ნენულა, დედულა, ხატულა, ხუსიკა, ბუძიკა; ხშირია სან მაწარმოებელი: დურსუნასანი, უზეირასანი (აქ შეიძლება შევადაროთ ქართლურ-კახური: ოთარაანთი).
4	ბრუნება და რიცხვი	V	ამ საკითხთან დაკავშირებულ დიალექტურ ხარვეზებზე საანალიზო ნაწილში მაქვს საუბარი.
5	თანდებულიანი ბრუნვები	V	დიალექტში **შემდეგ**, თანდებულის ნაცვლად, არის უკან (სამი დღის უკან), ვით თანდებულის ნაცვლად – ვენ (კაცსავენ), ვეთ (იმასავეთ); მდე, მდის-მდენ, მდინ (სახლამდინ); თვის-თვინ (ანასთვინ), თვით-ჩემთათვინაი, ჩემთვინაი; გამო-გამოღმა, მიღმა (ჩემ გამოღმა, გუშინდელოღმა), გარდა-გარდაი (ჩემ გარდაი).
6	ნაცვალსახელი	VI	პირის ნაცვალსახელი შერწყმულია **უნდა**-სთან: მენდა, შენდა, ისდა; ეგ გამოითქმება მეგ სახით (მეგენი, მაგინი); **ეს**, **ის** თითო ასოთი **ე**, **ი** გამოიხატება (ე გომბიო, ი ბაღვი), ასევე **მაი**, **ისი**, **ემე** ფორმით (მაი კაცი, ემეში ჩაყარა); **თვითონ** ნაცვალსახელი დიალექტში არის **თვითან**; ამა და ამ – ამვალ (ამვალ სახენწიფოში); **ვინც**, **რაც** დიალექტშია: **ვინცხა**, **რაცხა**, **რავარცხა**, **რაცხამითი**; არის აგრეთვე ფერ კომპონენტიანი ნაცვალსახელები: **ააფერი**, **ნუფერი**, **ვეფერი** (უნდა იყოს: არაფერი, ნურაფერი, ვერაფერი); **ერთმანეთი** გვხვდება **ერთმანების** სახით; **იმ** ნაცვალსახელს აქვს წოდებითის ფორმა: **იმავ**, **იმანო.**
7	პირის ნიშნები	VI	სუბიექტური პირის ნიშანი **ეს** შეცვლილია **ენ** სახით: გადაჰკიდენ, იმუშავენ; **ნენ** ნაცვლად **ენ**: ჩააგდენ; **თ** ნიშნის ნაცვლად **ა**: ძინვან, აქვან; **ჰ** ნიშანი გამოიყენება პირდაპირ ობიექტთანაც: გაჰკეცა, დაჰტია; ზოგჯერ **ჰ** უნდა იყოს და არ არის: ყავდა, მიცეს, მოპარეს, გავს, მიყიდა, მოგვარეს; ზოგჯერ ამა თუ იმ პირში ზმნები იწყება: **ზ**, **შ**, **ჟ**, **ჰს**, **ჰშ**, **ჰნ** ბგერებით – დაზდგომიან, ვშჭამდით, შჭირდება, დაჰსწვება, აჰსწია, გაჰშჭრა, ჩაჰსვეს.
8	ზმნისწინი	VI	**შე** ზმნისწინი შეცვლილია **შა** ფორმით: შააგდო, შააგდოს; **გა**, **და**, **წა** ზმნისწინები გვხვდება **გე**, **დი**, **წე** სახით: გევიდა, წევიდა, დიეცა; ზმნისწინების ნაწილი განიცდის ასიმილაციას (ამაზე საუბარი გვქონდა ფონეტიკურ მოვლენებში), ძველი ზმნისწინები: **აღ**, **მან**, **წარ**, **გარდა** გვხვდება გამარტივებული სახით, რაც არასწორია (ავზარდე, მიანია, ამოჩდა, გამავლობაში, წამოადგინა).
9	მწკრივები და სერიები	VI	ზოგიერთ მწკრივში დიალექტი **ვიდ** მაწარმოებელს იყენებს: დავნაყვიდი, მეიწველვიდენ, დენახვიდა; პირველ თურმეობითში **ავ და ამ** თემის ნიშნების შენარჩუნება არ ხდება: დიმიჭერია, მინახია; ზოგჯერ **ია** დაბოლოების წინ შენარჩუნებულია თემის ნიშნის ნაშთი: მითქმია, მინახვია.
10	გვარი	VII	**„მშია“** ძირი გრამატიკულად აწარმოებს **დონ-იან** ფორმებს, დიალექტში კი ასეთი წარმოებაა: მომემშია – მოგვემშია; მოგემშია – მოგემშიათ; მოემშია – მოემშიენ; **„შეშინდა“** ზმნა ე-ნიანი ვნებითის სახითაა: **შეეშინა**; საშუალო გვარის ზმნები: მღვიძავს, მძინავს დონ-იანით იწარმოება: მღვიძავდა, მძინავდა.

ქართული ენის სწავლებისთვის

11	თავისებური ზმნები	VII	ზოგიერთი ზმნა დიალექტში ხშირად გამოიყენება და მათი ცოდნა აუცილებელია, რომ ჩანაცვლდეს ლიტერატურულით. ასეთებია: ძევა, გამოიძევა ნიშნავს – ძიება, გამოძიება; ტანულოფს, ტკენულოფს, გონილოფს, წყენულოფს, უნდა ვთქვათ: იტანს, იტკიებს, ისმენს, სწყენს; მსგავსად საინტერესოა: გაქარვებულა – გამქრალა, ეყურება – ესმის, ამწყრევს – ამწყვდევს, გაასინათლა – გაანათა, დეინაძირა – დაილექა, გააშვა – გაშორდა, მიატოვა (ხუსიკამ ქალი გააშვა), გააძო – მოიშორა, დასვა – შობა, დახელა – შეაშინა. თავისებურია ბოლომოკვეცილი ზმნები: ჩამეიტაი – ჩამოიტანე, მიე – მიეცი, გეიქე – გაიქეცი, ჩამევტაი – ჩამოვიტანე, ჩამევყვაი – ჩამოვიყვანე.
12	ზმნიზედა	VII	**ში** და **ზე** დაერთვის ზმნიზედას: აქში, მაგში (მაგაში), საღამოზე; დაერთვის ნაცვალსახელს და აქცევს ზმნიზედად: აგზე, მაგზე; არის ზმნიზედა: **წინწინ**, უნდა იყოს – წინდაწინ, უწინ; დღე კაი ამინდია – უნდა იყოს: დღეს; ერთ წელიწათ – ერთ წელიწადს; ერთ წამალაი – ერთი წამით; ბარსახან – დიდხანს; ამისიქით – ამიერიდან; დანაბოლოს – და ბოლოს, უკანასკნელად; ხანჯელ – ზოგჯერ; გუშინასწინ – გუშინწინ; უკან (ცოტა ხნის უკან) – შემდეგ; მემრე – მერე, შემდეგ; მასხანში – ამასობაში; წრევლაი – წლეულს; ჰადმე – სადმე, არსად; ზედან-ზედ; შიან-შიგ; მან-მაქ; გლიშამ-ირგვლივ; გზობაი-გზის (ხუთი გზობა – ხუთგზის); შინათკენ – შინისკენ; შარშანდულა – შარშანდლის მაგივრად; ნაპირველაი – ნაპირ-ნაპირ; რასძალა – ძლიერ, ძალიან.
13	კავშირი	VII	გრამატიკული კავშირების ნაცვლად, დიალექტში გამოიყენება: მაგრამ – მარა, ოღონდ – ოღონ, ხოლო – ხოლოთ, თორემ – თვარა, რომელიც– რომელცხა, რომ – რომე (რომენ, რუმ), სადაც – ჰაცხან, ვინც – ვინცხა, რაც – რაცხა, როდესაც – როიცხა, როგორც – რავარც, სადამდე – ჰადამდე; კავშირებს უკავშირდება მისათითებელი სიტყვები: ისე – იმფერი, ისეთი – მაგფერი, ისეთი, ასეთი, მასეთი – ამფერი, მაქფერი, ამისთანაი, იმისთანაი, მაგითანაი.
14	ნაწილაკი	VII	ნ ნაწილაკდართული: ისვენ, მემრენ, ახლავენ, კიდვენ უნდა ჩანაცვლდეს: ის, მერე, ახლავე, კიდევ ფორმებით; ჰაგრე – აგრე, კიღარმი – კინაღამ, ღარმი – კინაღამ, ნა, ნდა სუფიქსებით: გოგუებიანა (გოგოებითურთ), არნდა – არ უნდა.
15	თანდებული (გამეორების ფორმით)	VII	განიხილება იმავე სახით, როგორც თანდებულიან ბრუნვებთან დაკავშირებით.
16	შორისდებული	VII	მოსახლეობა საუბარში ხშირად იყენებს შორისდებულებს: ییშ ნიშნავს – ახია, შესაბამისად: ჰაეჰა – ჰა, დეჰ (ლექსში პირველად გამოიყენა პოეტმა ზურაბ გორგილაძემ) – დიდუუ; ვოში, ოში – ხვნის დროს ხარზე შეძახილებია; ბრე – ჰეი, ეი; ჰეჩ, ეიკიდი, ეივახ (შემოსულია სპარსულიდან) – ვაგლახ; მალადეც (შემოსულია რუსულიდან) – ყოჩაღ.
17	ქვემდებარის და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში	VIII	ებ-იან მრავლობითში უსულო სახელებთანაც ზმნა მრავლობითშია: ხეები დგანან; სიმრავლის გამომხატველ სიტყვებთან შემასმენელი მრავლობითშია: ყველა მოყრილან, სამვემ ეიკიდენ, ხალხი ჟივოდენ; ზოგჯერ უქვემდებარო ზმნებთანაც არის ქვემდებარე: წვიმა წვიმს, თოვლი თოვს.
18	განსაზღვრება	VIII	განსაზღვრება მართულ-შეთანხმებულია პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობისას: აჰმედასი ხარები, გოგო აქიფასი; მოთხრობითში განსაზღვრება ბრუნვის ნიშანმოკვეცილია: ჩემ აფხანაგმა, მაგათ შვილებმა, ერთ ჯარისკაცმა; განსაზღვრება მოთხრობითსა და მიცემითში სახელობითის ფორმითაა: უნცროსი ძმამ, თელი ქვეყანაზე, შვიდი წელიწად.
19	გარემოება	VIII	თანდებულიან მიცემითში **ში** დაკარგულია: ჯარი გაგზანა ბაღდათ, ერთ საათზე ევდა ხულას; დროის ზმნიზედები დაირთავენ **ში**, **ზე** თანდებულებს: ღამეში მიდის მატარებელი, ამ დროზე ჩიტმა მოვდა ენაზე; დროის გარემოება სახელობითის ფორმითაა: ერთი დღე წავა, ცამეტი წელიწადი ისტავლა; სიტყვა „დრო“ **ობა** სუფიქსიანი გარემოებაა: ამ დრობიხან იშიშვლა ხმალი; **„ვალ“** ძირიანი საწყისები წარმოადგენენ დროის გარემოებას: ავლაი ეს ცოცხი წაიღე, გავლაი მომიკითხე; დროის გარემოებებია: ამწახანობაი, დანაბოლოს, მასხანში, ადგილის გარემოებები: აქში, მაქში, იქში, აგზე, მაგზე, იგზე; ასევე ადგილის გარემოებებია: ზედაურეფში, ქვედაურეფში, ამათი-ებში, მოყოლებაზე, ამოყოლობაზე. კითხვითი სიტყვა „რაზე“ მიზეზის გარემოებაა: რაზე მიდიხარ? სიტყვა „გულობაი“ მიზნის გარემოებაა: ჩემ გულობაი რატომ ირჯები?

თამაზ აბულაძე
სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის
თემურ ზაქარაძის სახელობის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი

სამოდელო გაკვეთილი

გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი

სამოდელო გაკვეთილის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ იგი უნდა განსხვავდებოდეს ყოველდღიური გაკვეთილებისგან და გვთავაზობდეს რაიმე სიახლეს, არასტანდარტულ, შემოქმედებით მიდგომას სწავლა-სწავლებაში.

ამჯერად ვისაუბრებ გაკვეთილის დაგეგმვაზე, რომელიც ორიენტირებულია გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, განსაზღვრა პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები, რომელთა განვითარება ხელს უწყობს თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებული XXI საუკუნის უნარების ფლობას. თუმცა ასეთი ტიპის სწავლების დანერგვას სკოლებში გარკვეული სირთულეები ახლავს, მათგან ერთ-ერთი სათანადო დამხმარე რესურსების სიმწირეა, რაც მასწავლებლებს მოსწავლეთა შორის აღნიშნული კომპეტენციების განვითარებაში დაეხმარებოდა.

მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმიდან აყალიბებს იდეას, შემდეგ კი აანალიზებს საგნობრივი სტანდარტისა და გამჭოლი კომპეტენციების ურთიერთკავშირს. სტანდარტის ანალიზის შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ხელმისაწვდომი რესურსები, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს მიღმა – კომპიუტერული პროგრამები თუ სხვა ვიზუალური საშუალებები. შემდეგ კი იგეგმება გაკვეთილი. ამ დროს აუცილებლად უნდა გაირკვეს, რომელი კომპეტენციები აქვთ მოსწავლეებს უკვე განვითარებული და რა დონეზე, რადგან შეუძლებელია ერთი გაკვეთილის ფარგლებში რომელიმე ერთი კომპეტენციის სათანადოდ განვითარება.

წარმოგიდგენთ ჩემ მიერ შედგენილი სამოდელო გაკვეთილის გეგმას და რეფლექსიას, რომლის აქტივობები და გამოყენებული რესურსები ორიენტირებულია: მედიაწიგნიერების, წიგნიერების, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარებაზე.

სამოდელო გაკვეთილის გეგმა

საგანი	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
საფეხური/კლასი	საბაზო/VIII
სამოდელო გაკვეთილი **გაკვეთილის ტიპი**	➢ **გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებული** **მედიაწიგნიერება –** საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ, აუცილებელია მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ, მედია სამყაროში ორიენტირება, სნორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას; **წიგნიერება –** ტრადიციული გაგებით, სიტყვა „წიგნიერება“ გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს; თანამედროვე გაგებით, წიგნიერება ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარია იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს; **სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია –** გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

თემა	**პლაკატი აქტუალურ თემაზე**
დრო	**45წთ**
მოსწავლეთა პროფილი	კლასში 10 მოსწავლეა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კლასში არ არის.
გაკვეთილის მიზანი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** • მოსწავლეს გამოვუმუშაოთ გრაფიკული პლაკატის შექმნის უნარი; • გავუღრმავოთ თანამშრომლობისა და პრეზენტაციის უნარი. **საგაკვეთილო პროცესში მოსწავლემ უნდა შეძლოს:** ფარული კამერა, მოზარდის შევიწროება ჩაგვრა – ვიდეოდან და სტატიებიდან ბავშვთა ძალადობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება-გააზრება; გაეცნობიან „ბავშვთა უფლებათა კონვენციას“, აუმაღლდებათ საზოგადოებრივი ცნობიერება და ძალადობის პრევენციის მიზნით მოამზადებენ გრაფიკულ პლაკატს, პრეზენტაციას.
შედეგები (ესგ) – კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	**ს.გ.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია შემოქმედებითად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ნამუშევრის შექმნისას.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ქმნის დეკორატიულ ნამუშევარს გრაფიკული ხერხებით (მაგ. კონტურით, ხაზით, შტრიხით). **ს.გ.VIII.4.** • იყენებს სხვა საგნებში განვლილ მასალას ნამუშევრების სიუჟეტისათვის; • იყენებს სხვადასხვა კულტურისა და პერიოდის შემოქმედთა ნამუშევრებს, როგორც წყაროს საკუთარი ნამუშევრის შესაქმნელად. **ს.გ.VIII.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს სხვადასხვა სახის სამუშაო.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას; • განსაზღვრავს იმ მოქმედებებს, რომლებიც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად. **ს.გ.VIII.6. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სხვადასხვა სტრატეგიას.** • ანაწილებს გუნდში სამუშაოს/ფუნქციებს/მოვალეობებს; • ითვალისწინებს და იყენებს გუნდელის/ების შესაძლებლობებს (პოტენციალს); • ეხმარება კლასელებს შემოქმედებითი და საორგანიზაციო სიძნელეების გადალახვაში; • ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში მათგან ითხოვს დახმარებას. ასევე, მოსწავლეებს შეუძლიათ, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოძიებული მასალის დახარისხება, რესურსის შექმნა და გამოყენება.
გამჭოლი კომპეტენციების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის მიზნები და შედეგი	• ვიზუალური მასალის დახმარებით სხვადასხვა სოციალურ თემაზე შექმნილი პლაკატებიდან მთავარი მახასიათებელი ნიშნების გამოყოფა; • სხვადასხვა ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება; • მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ინფორმაციის სანდოობიის ანალიზი და შეფასება ჯგუფური დისკუსიისას. • ჯგუფური მუშაობა ძალადობის პრევენციის მიზნით და პლაკატის შექმნა.

სამოდელო გაკვეთილი

წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები	**ცოდნა** • რა არის პლაკატი და რა ფუნქცია აქვს მას; • პლაკატის ტიპები; • პლაკატის შექმნის ისტორია. **უნარ-ჩვევები** • მოსწავლეებმა იციან გრაფიკული რესურსების დამზადება; • მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობა და დაკვირვების უნარი; • უკვე შესწავლილი და შესასწავლი მასალის შესახებ მსჯელობა, ხელოვნების ნიმუშების შედარება, ცოდნის გადმოცემა და გაანალიზება ილუსტრაციების და თვალსაჩინოებების დახმარებით; • თანამშრომლობის, პრეზენტაციის, კომუნიკაციის, გაკვეთილზე დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.
გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები	✓ ახსნა-განმარტება – საორგანიზაციო საკითხების მოგვარება; ✓ ინტერაქტიული რესურსის გამოყენებით კითხვა-პასუხი; ✓ სასწავლო გაჩერებები-ჯგუფური მუშაობა; ✓ ჯგუფური მუშაობა, საპრეზენტაციო მასალის მომზადება; ✓ შესრულებული დავალების პრეზენტაცია; ✓ ჯგუფური მუშაობა (პრაქტიკული სამუშაო); ✓ შესრულებული პლაკატების პრეზენტაცია; ✓ შეფასება: განმსაზღვრელი-განმავითარებელი.
მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები	მთელი კლასი, ჯგუფური, ინდივიდუალური.
შეფასება და თვითშეფასება	**განმავითარებელი და განმსაზღვრელი, თვითშეფასება.** • მოსწავლეთა ინდივიდუალური შეფასებისათვის და თვითშფასებისათვის შექმნილი რუბრიკა; • ჯგუფური მუშაობის შეფასება, შეფასების და თვითშეფასების რუბრიკის გამოყენებით; • განმავითარებელი შეფასება მთელი გაკვეთილის მანძილზე.
სასწავლო მასალა და რესურსები	სახელმძღვანელო, პროექტორი, კომპიუტერი, power point-ში დამზადებული ინტერაქტიული პრეზენტაცია, მარკერები, ფორმატი, სხვადასხვა სახატავი მასალა, თაბახის ფურცლები, დაფა, ცარცი, წებოვანი ფურცლები, საწერი კალმები; სამუშაო ფურცელზე განთავსებული ცხრილი (დანართი №1); ინსტრუქცია (დანართი №2); შეფასების, თითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები (იხ.დანართი №3,№4). ფარული კამერა მოზარდის შევიწროება-ჩაგვრა: https://www.youtube.com/watch?v=VsGQTwFvdvI „ბავშვთა უფლებების კონვენცია“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 დავით დანელიას სტატია: ძალადობა ბავშვებზე http://www.ambioni.ge/zaladoba-bavsvebze

გაკვეთილის მსვლელობა

I ფაზა – გამოწვევა (6წთ)

№	აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზების ფორმა	რესურსები	შეფასება
1	ახსნა-განმარტება, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება	გაკვეთილის თემის, მიზნების და შეფასების რუბრიკების გაცნობა	3წთ	მთელი კლასი	პროექტორი, კომპიუტერი, power point-ში დამზადებული ინტერაქტიული პრეზენტაცია, შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. დანართი №2,№3.	
2	ინტერაქტიული რესურსის გამოყენებით კითხვა-პასუხი	არსებული ცოდნის გააქტიურება; ვიზუალური მასალის დახმარებით სხვადასხვა სოციალურ თემაზე შექმნილი პლაკატებიდან მთავარი მახასიათებელი ნიშნების გამოყოფა	3წთ	მთელი კლასი	პროექტორი, კომპიუტერი, power point-ში დამზადებული ინტერაქტიული პრეზენტაცია, CD დისკზე განთავსებული სახელმძღვანელოს დამხმარე მასალა.	მასწავლებლის უკუკავშირი

1. აქტივობის აღწერა – გაკვეთილის დასაწყისში მივესალმები კლასს, გავაცნობ გაკვეთილის თემას, მიზნებს, შეფასების და თვითშეფასების რუბრიკას.

2. აქტივობის აღწერა – არსებული ცოდნის გააქტიურებისათვის მოსწავლეებს თან ვუჩვენებ power point-ში დამზადებულ ინტერაქტიულ პრეზენტაციას და ვეკითხები:

1. **რა არის პლაკატი?**
2. **რა დანიშნულების პლაკატები არსებობს?**
3. **დააკვირდით ირაკლი თოიძის ნამუშევარს „დედა სამშობლო გვიხმობს“ და აღწერეთ ის.**
4. **თქვენი აზრით, რას გამოხატავს ეს ნამუშევარი?**
5. **დააკვირდით წარმოდგენილ პლაკატს, რა არის გამოსახული მასზე? (ვაჩვენებ პლაკატებს სხვადასხვა აქტიურ თემაზე და მოსწავლეები მსჯელობენ.)**
6. **რა იცით ძალადობის შესახებ?**
7. **სად შეიძლება მოხდეს ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობა?**
8. **რამდენად კომპლექსურია ბავშვთა მიმართ ძალადობა?**
9. **რა ფაქტორები განაპირობებს ძალადობას?**
10. **რა შეიძლება გაკეთდეს ძალადობის პრევენციისთვის?**
11. **როდესაც ინფორმაციის მოძიება გვესაჭიროება აქტუალურ თემაზე, რას ვაკეთებთ?**
12. **თქვენი აზრით, რამდენად სანდოა ინტერნეტში მოძიებული ინფორმაცია?**
13. **ინტერნეტში მოძიებული მასალის სანდოობის შემოწმების მიზნით რა შეიძლება გავაკეთოთ?**

II ფაზა – სიღრმისეული წვდომა (30წთ)

№	აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზების ფორმა	რესურსები	შეფასება
1	„სასწავლო გაჩერებები“ ჯგუფური მუშაობა	მოსწავლემ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით შეძლოს ბავშვთა ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დახარისხება, სანდოობის ანალიზი და შეფასება.	12წთ	ჯგუფები	თაბახის ფურცლები, კალამბი; კომპიუტერი; ფარული კამერა – მოზარდის შევიწროება ჩაგვრა: https://www.youtube.com/watch?v=VsGQTwFvdvI „ბავშვთა უფლებების კონვენცია“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 (ბეჭდური ვერსია) სტატიის ლინკი: http://www.ambioni.ge/zaladoba-bavsvebze	დაკვირვება
2	საპრეზენტაციო მასალის მომზადება	მოსწავლემ ჯგუფთან ერთად შეძლოს მოძიებული ინფორმაციის გაფილტვრა, დახარისხება და ცხრილში (დანართი №1) გადატანა – „რა ვისწავლე თითოეულ გაჩერებაზე“.	4წთ	ჯგუფური	სამუშაო ფურცელზე განთავსებული ცხრილი (დანართი №1), მარკერები.	დაკვირვება
3	შესრულებული დავალების პრეზენტაცია	მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის გაფილტვრა და ძირითადი საკითხების პრეზენტირება. გამოვუმუშაოთ პრეზენტაციის უნარი.	2x2=4წთ	პრეზენტატორები	მოსწავლეების მიერ შევსებული სამუშაო ფურცელზე განთავსებული ცხრილი (დანართი №1)	დაკვირვების საფუძველზე განმავითარებელი შეფასება
4	ჯგუფური მუშაობა (პრაქტიკული სამუშაო)	მოსწავლეს გამოვუმუშაოთ გრაფიკული პლაკატის შექმნის უნარი გავუღრმაოთ თანამშრომლობის უნარი.	10წთ	ჯგუფები	მარკერები, ფორმატი, სხვადასხვა სახატავი მასალა	დაკვირვება

1. აქტივობის აღწერა: „სასწავლო გაჩერებები“

ნაბიჯი №1 (ჯგუფების დაკომპლექტება და ინსტრუქციის გაცემა. **2წთ**): გადათვლის პრინციპით კლასს ვყოფ ორ ჯგუფად, რომლებიც ადგილს იკავებენ თავიდან 2 მაგიდასთან (სულ არის სამი მაგიდა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ჯგუფი ადრე დაამთავრებს სამუშაოს, ერთი დამატებითი მაგიდა (ალტერნატიული გაჩერება)). მაგიდებზე ვათავსებ ფურცლებს შემდეგი წარწერით:1.„სტატიის ტექსტის გააზრება“; 2. „ბავშვთა უფლებების კონვენცია“; 3. „ინტერნეტ-რესურსი“: ფარული კამერა – მოზარდის შევიწროება-ჩაგვრა: (4.ინტერვიუ მასწავლებელთან-ალტერნატიული გაჩერება).

მოსწავლეებს ვაცნობ მუშაობის ინსტრუქციას: *„თითოეულ თქვენგანს მოუწევს მუშაობა სათითაოდ სამივე მაგიდასთან, ანუ სამ გაჩერებაზე, საიდანაც თქვენ უნდა შეაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ბავშვთა ძალადობის შესახებ და გააკეთოთ ჩანაწერები რვეულებში ან ფურცლებზე.*

ჯგუფი, რომელიც იმუშავებს პირველ მაგიდასთან, კითხულობს სტატიის ტექსტს, რომელიც ბეჭდური სახით დახვდათ მაგიდასთან, ამოკრებს საჭირო ინფორმაციას და ახარისხებს წინასწარ მომზადებული სქემის მიხედვით; მე-2 მაგიდასთან ჯგუფი ეცნობა ბავშვთა უფლებათა კონვენციას რომელიც ბეჭდური სახით დახვდათ მაგიდასთან, ამოკრებს საჭირო ინფორმაციას და ახარისხებს წინასწარ მომზადებული სქემის მიხედვით; ხოლო მე-3 მაგიდასთან შეგიძლიათ ისარგებლოთ კომპიუტერით, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში, ნახოთ ვიდეო: ფარული კამერა – მოზარდის შევიწროება-ჩაგვრა:

თითოეულ გაჩერებაზე თქვენ მოგიწევთ მუშაობა მხოლოდ 4-4 წუთი. დროის ამოწურვის შემდეგ I ჯგუფი გადაინაცვლებს II მაგიდასთან, II ჯგუფი – III მაგიდასთან, I ჯგუფი – III მაგიდასთან, II ჯგუფი ადგილს დაიკავებს I მაგიდასთან, სადაც ასევე ასრულებთ შესაბამის დავალებებს. საბოლოოდ ყველა ჯგუფი მასალებს შეაგროვებთ სამივე გაჩერებაზე და დააფიქსირებთ სამუშაო ფურცლებზე“.

თუ რამდენად გასაგებია ინსტრუქცია მოსწავლეებისთვის ვამოწმებ მეთოდით: „ინსტრუქციის განმეორება“ და „შუქნიშანი“.

ნაბიჯი №2: ჯგუფების მუშაობა გაჩერებებზე და მასალის შეგროვება (**12წთ**). ვრთავ წამმზომს და ჯგუფები იწყებენ მუშაობას. ყოველი 4 წუთის ამოწურვის შემდეგ გაისმის ხმოვანი სიგნალი, ჯგუფები, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, გადაინაცვლებენ მომდევნო გაჩერებაზე და აგრძელებენ მუშაობას.

2. აქტივობის აღწერა: საპრეზენტაციო მასალის მომზადება (4წთ)

თითოეულ ჯგუფს ვურიგებ სამუშაო ფურცელს (დანართი №1) და მარკერებს. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და ამზადებენ საპრეზენტაციო მასალას :„რა ვისწავლე თითოეულ გაჩერებაზე“.

აქტივობა №5. ჯგუფების პრეზენტაციები და შეფასება.

ხანგრძლივობა: თითოეული ჯგუფისათვის პრეზენტაცია – 2-2წთ, სულ **4წთ.**

აქტივობის აღწერა: ჯგუფებში ჩატარებული კენჭისყრით გამოვლენილი პრეზენტატორი შევსებულ ცხრილს დაფასთან წარმოადგენს და ატარებს პრეზენტაციას.

3. აქტივობის აღწერა: მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და ქმნიან პლაკატს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისათვის.

III ფაზა – რეფლექსია (9წთ)

№	აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზების ფორმა	რესურსები	შეფასება
1	შესრულებული პლაკატების პრეზენტაცია	მოსწავლეებმა წარადგინონ პრაქტიკული ნამუშევრები, გავუღრმაოთ პრეზენტაციის უნარი	2x3=6წთ	პრეზენტატორები	მოსწავლეების მიერ შექმნილი პლაკატები	დაკვირვების საფუძველზე განმავითარებელი შეფასება
2	შეფასება: განმსაზღვრელი-განმავითარებელი	მოსწავლეთა შეფასება და მოსწავლეების მიერ თვითშეფასებისა და ჯგუფის შეფასების სქემების შევსება	3წთ	ინდივიდუალური, ჯგუფები	შეფასების, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკა. დანართი №3/ დანართი №4	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, მოსწავლეთა უკუკავშირი

1. აქტივობის აღწერა: მოსწავლეები წარადგენენ პლაკატებს – პრეზენტაცია.

3. აქტივობის აღწერა – მოსწავლეებს ვაძლევ განმავითარებელ შეფასებას, შეფასების რუბრიკების საფუძველზე (იხ. დანართი №3) ვაფასებ განმსაზღვრელი შეფასებით, შემდეგ მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების და ჯგუფის ურთიერთშეფასების სქემებს (იხ.დანართი №4).

დანართი №1

შეკითხვა	**ვიდეო**	**სტატია ძალადობაზე**	**ბავშვთა უფლებათა კონვენცია**
რა გავიგეთ ძალადობის შესახებ			
რა მიზანს ისახავს?			
ვისთვისაა ეს ინფორმაცია განკუთვნილი?			
რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია?			
როგორ მოგვეწოდება ინფორმაცია?			

სამოდელო გაკვეთილი

დანართი №2 – ინსტრუქცია

შეფასება: (მოსწავლის შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების და ურთიერთშეფასებების სქემა თან ერთვის გეგმას)

- ✓ **განმავითარებელი-სიტყვიერი კომენტარით;**
- ✓ **განმსაზღვრელი შეფასება შეფასების რუბრიკების გამოყენებით.**

დანართი №3

შეფასების რუბრიკები

მოსწავლის ინდივიდუალური შეფასება (10-ქულიანი რუბრიკა)

№	კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა – 10
1	**აქვს გრაფიკული პლაკატის შექმნის და პრეზენტაციის უნარი.**	2
2	**ფლობს საკომუნიკაციო უნარებს, მუშაობის პროცესში ჩანს მისი კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.**	2
3	**აქვს მედიარესურსის, წაკითხული ტექსტის ანალიზის უნარი.**	2
4	**აქტიურად არის ჩართული სამუშაო პროცესში, ჯგუფური მუშაობის უნარებს ფლობს.**	2
5	**შეუძლია ძალადობის შესახებ საინფორმაციო-შემეცნებითი ტიპის ტექსტიდან და ვიდეომასალიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება-გააზრება.**	2

ჯგუფური მუშაობის რუბრიკა

კრიტერიუმი	ძალიან კარგი 10-9	საშუალო 8-7	საშუალო 6-5	დაბალი 4-1
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად ვერ გააცნობიერა.
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო კარგად ორგანიზებული იყო, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო ორგანიზებული იყო, მაგრამ ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო ნაწილობრივ იყო ორგანიზებული და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო არ იყო ორგანიზებული. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ განაწილებულა.
ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი.	საკმარისად აქვთ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი.	ნაწილობრივ აქვთ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი.	არ გააჩნიათ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი.
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს.	საკმარისად იცავენ დროის ლიმიტს.	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა.	ვერ იცავენ დროის ლიმიტს.
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური და სამუშაო – ნაყოფიერი, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები.	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის, ძირითადად, პოზიტიური ურთიერთობები იყო.	მხოლოდ ერთი-ორი მოსწავლე აქტიურობდა, ჯგუფის აქტიურ წევრებსა და პასიურ წევრებს შორის ზოგჯერ ურთიერთობები იძაბებოდა.	ჯგუფის წევრები არ აქტიურობდნენ, ჯგუფის წევრებს შორის არ შეინიშნებოდა თანამშრომლობითი გარემო.

დანართი №4

ჯგუფი N ..... შეფასება

დავალება	**ვერ შეასრულეს**	**გაუჭირდათ შესრულება**	**კარგად შეასრულეს**
ვიდეოს გაანალიზება			
სტატიის ტექსტის გააზრება			
პრეზენტაციის წარდგენა			
პლაკატის შექმნა			
პლაკატის პრეზენტაცია			

მოსწავლის თვითშეფასების სქემა

გვარი და სახელი:	....		
კრიტერიუმები	**დიახ**	**ნაწილობრივ**	**არა**
მაქვს გრაფიკული პლაკატის შექმნის და პრეზენტაციის უნარი.			
ვფლობ საკომუნიკაციო უნარებს, მუშაობის პროცესში შემიძლია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.			
მაქვს მედიარესურსის, წაკითხული ტექსტის ანალიზის უნარი.			
აქტიურად ვარ ჩართული სამუშაო პროცესში, ჯგუფური მუშაობის უნარებს ვფლობ.			
შემიძლია ბავშვთა ძალადობის შესახებ საინფორმაციო-შემეცნებითი ტიპის ტექსტიდან და ვიდეომასალიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება-გააზრება.			

ჩატარებული სამოდელო გაკვეთილის რეფლექსია

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?

პერიოდული დაკვირვებების საფუძველზე, როგორც საგნის პედაგოგმა, აღმოვაჩინე, რომ კონკრეტულ კლასში იკვეთებოდა განსაკუთრებული მიზნობრივი საჭიროება ერთობლივად გვემუშავა იმ სიძნელეების გადასალახად, რომელმაც თავი იჩინა სასწავლო წლის დასაწყისში. მოსწავლეებს შეექმნათ დაბრკოლება ამდენი ინფორმაციის ლაბირინთში, დაემახსოვრებინათ ის მასალა, რომელსაც სახელმძღვანელო სთავაზობდა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აქტიურად დავიწყე იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც გაკვეთილებს მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდიდა. მერვე კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის გაანალიზების შემდგომ გადავწყვიტე დამეგეგმა გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებული გაკვეთილი, რადგან სწავლების ამ საფეხურზე საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოსწავლის მიერ ინფორმაციის აქტიურ შემეცნებაზე გადასვლას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას, მოსწავლემ უნდა შეძლოს მიღებული ცოდნის გაანალიზება და შეძენილი გამოცდილების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება.

რა სარგებელი მიიღეს გაკვეთილზე დამსწრე კოლეგებმა? მოსწავლეებმა?

ამ გაკვეთილით მოსწავლეებმა შეძლეს გაეანალიზებინათ ახალი მასალა, გაფილტრეს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია ბავშვთა ძალადობის შესახებ, სხვადასხვა აქტივობების დროს კიდევ უფრო განუვითარდათ შემდეგი უნარები: თანამშრომლობა/კომუნიკაცია; მხატვრული ნაწარმოების ანალიზი; არგუმენტირებული მსჯელობა და დაკვირვებია; პასუხისმგებლობა; თვითშეფასება/ურთიერთშეფასება; პრეზენტაცია.

ვფიქრობ, ჩემი კოლეგებისთვის საინტერესო იყო: ჩემ მიერ სწორად დაგეგმილი, ესგ-სთან შესაბამისობაში მყოფი მიზანი, სწორად შერჩეული სწავლების სტრატეგიები, მიზანთან შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსები, კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო, გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები. კოლეგებს ვუჩვენეთ, როგორ შეიძლება შევქმნათ სასწავლო რესურსები და, ისევ ამ მასალაზე დაყრდნობით, ვამუშაოთ მოსწავლეები ჯგუფურად, გავუაქტიუროთ წინარე ცოდნა. გაკვეთილი ატარებდა გამოყენებით პრაქტიკულ ხასიათს როგორც დიდაქტიკური, ასევე საგნობრივი კომპეტენციის.

იქნა თუ არა მიღწეული მიზანი?

მიმაჩნია, რომ მივაღწიე გაკვეთილის მიზანს, რადგან გაკვეთილის მიზანი ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ეტაპობრივად განხორციელდა: power point-ის პროგრამაში დამზადებული რესურსის გამოყენებით, კითხვა-პასუხისას, გავააქტიურე არსებული ცოდნა, შემდეგ გამოვიყენე „გაჩერებებით სწავლების“ მეთოდი, რომლის შედეგად, სხვადასხვა გაჩერებაზე, მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის და წყაროს ინფორმაცია შევთავაზე დასამუშავებლად. ვიზუალურ მასალაზე დაკვირვებით, ინტერაქტივის კითხვებზე პასუხების გაცემის დროს, მოსწავლეებს განვუვითარე ხელოვნების ნაწარმოებზე, მისი შესრულების მანერაზე დაკვირვების უნარი; დამოუკიდებლად მუშაობისა და თანამშრომლობის უნარები. ვიზუალური მასალის დახმარებით, ხელი შევუწყვე სხვადასხვა თემაზე შექმნილი პლაკატების სიუჟეტის ამოცნობის უნარის განვითარებას. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეებმა „გაფილტრეს“ სხვადასხვა გზით მიღებული ინფორმაცია და განუვითარდათ შედარება-ანალიზის და თანამშრომლობის უნარი. სააზროვნო უნარების (აღწერა, ანალიზი, მსჯელობა) პრაქტიკულად გამოყენების შემდეგ, მათ თვალნათლივ დაინახეს რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შედარება/ანალიზი, ცოდნა და შეფასება. რესურსების მრავალფეროვნება საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს და აქტიურს ხდიდა. ვფიქრობ, მივაღწიე გაკვეთილის და გამჭოლი კომპეტენციების მიზნებს, რადგან მოსწავლეებმა, ჯგუფური მუშაობისას და პრეზენტაციის წარდგენის დროს, იმსჯელეს მედიარესურსების სანდოობაზე. დამოუკიდებლად შეძლეს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს შედარებითი ანალიზი და შეჯამება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გაკვეთილის მიზანს მივაღწიეთ და გავედით ესგ-ს შესაბამის შედეგებზე.

რა შეიცვლება თქვენი და თქვენი კოლეგების პედაგოგიურ პრაქტიკაში ამ გაკვეთილის ჩატარებით?

ჩატარებულმა გაკვეთილმა დამანახა, რომ: მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრეს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემა; გაეზარდათ საგნის მიმართ ინტერესი; ხელი შევუწყვე ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციების (მედიაწიგნიერება, წიგნიერება, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია) განვითარებას, რაც აისახება სასწავლო პროცესზე. გამიჩნდა მოტივაცია, ხშირად დავგეგმო და ჩავატარო მსგავსი ტიპის გაკვეთილები. გაკვეთილი დაგვეხმარება, მე და ჩემს კოლეგებს, გავითვალისწინოთ მიღებული გამოცდილება და გავიუმჯობესოთ პედაგოგიური პრაქტიკა. ჩემი თვითშეფასება და საკუთარი პროფესიული ციკლის რეფლექსია უწყვეტ და ინტესიურ მიდგომას საჭიროებს, რომლის საბოლოო მიზანი მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაა. სწორედ ამიტომაც, ფიქრი ჩემს პროფესიულ განვითარებაზე ყოველდღიური სამუშაო პრაქტიკის ნაწილია, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე.

სასწავლო პროცესის კონკრეტულად რა მხარეებს განავითარებს და როგორ შეუწყობს ხელს პრობლემების დაძლევას ჩატარებული გაკვეთილი?

ამ გაკვეთილმა: რამდენიმე მოსწავლეს დააძლევინა დაბალი თვითშეფასება და გახადა მეტად თავდაჯერებული. მიღებული უნარ-ჩვევებით მოსწავლეები შეძლებენ გადაწყვეტილების მიღებას და ჯგუფთან გაზიარებას. ასევე, ხელი შეუწყო მოსწავლეებში მედიასივრცეში ორიენტაციის, ინფორმაციის დამუშავების უნარის განვითარებას, რადგან რამდენიმე მათგანს საშინაო დავალებების შესრულებისას უჭირდა ინფორმაციის სწორად შერჩევა-გაანალიზება. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას სკოლაში დღემდე გარკვეული სირთულეები ახლავს, რადგან საჭიროებს სათანადო დამხმარე რესურსებს. კონკრეტულად, ამ გაკვეთილისთვის შექმნილი და მოძიებული რესურსებით, მოსწავლეებმა სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია გააანალიზეს-გაფილტრეს, რითაც ხელი შეეწყო ესგ-ს გამჭოლი კომპეტენციებისათვის (მედიაწიგნიერება, წიგნიერება) საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას.

რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად, რომელი ვერ განხორციელდა და რატომ?

გაკვეთილის ყველა აქტივობა დროში მქონდა გაწერილი, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, არ გამხდარა საჭირო გეგმის მოდიფიცირება. თუმცა, მომავალში აუცილებლად შევიტანდი ცვლილებას ჯგუფების დავალებებში, ყველა ჯგუფს ერთი და იგივე დავალება ჰქონდა, ვფიქრობ, მომავალში ყველა ჯგუფს ინდივიდუალური დავალებები მივცე.

რომელ კომპონენტში იყო გაკვეთილი ყველაზე წარმატებული და რატომ?

მიმაჩნია, რომ გაკვეთილი ყველაზე წარმატებული იყო სიღრმისეული წვდომის ფაზაზე. მოსწავლეები მუშაობდნენ ჯგუფებად, იყვნენ უფრო მეტად დამოუკიდებლები და თვითდაჯერებულები, მოტივირებულები, აღიჭურვნენ პასუხისმგებლობის გრძნობით. მთლიანობაში, გაკვთილისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ იგი სცილდებოდა სასწავლო პროგრამას და გათვლილი იყო როგორც საგნის ცოდნის ეფექტურად გამოყენებაზე, ასევე გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე. ჩემ მიერ დაგეგმილი ყველა აქტივობა, საწყისს იღებდა გაკვეთილის მიზნიდან, ესგ-დან, რომელიც გვაძლევს საშუალებას, საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენოთ ალტერნატიული მეთოდები, კერძოდ: ვიზუალიზაცია; გონებრივი იერიში; გაჩერებებით სწავლება – ჯგუფური მუშაობა; პრეზენტაცია; კითხვა-პასუხი; თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ვფიქრობ, მრავალფეროვანი მეთოდების არსებობამ, ხელი შეუწყო მოსწავლეებს, უკეთ გაეაზრებინათ ახალი მასალა, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი მოსწავლეების აქტიური ჩართულობის ხარჯზე შევძელი, იგრძნობოდა უკუკავშირი.

რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ? რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავსი ტიპის გაკვეთილის მომზადებისას?

გავითვალისწინებ გაკვეთილზე მიღებულ გამოცდილებას, სამომავლოდ აუცილებლად შევიტან ცვლილებებს დავალებების შერჩევაში. შევეცდები, ყველა ჯგუფს ინდივიდუალური დავალება მივცე, რაც გაკვეთილს, ჩემი აზრით, უფრო დინამიურს და მრავალფეროვანს გახდის.

ბოლოს, დასკვნის სახით, მინდა აღვნიშნო, რომ გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობებით და გაკვეთილისთვის შექმნილი და მოძიებული რესურსებით მოსწავლეებმა შეძლეს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება-გაფილტვრა, რითაც ხელი შევუწყვე როგორც მედიაწიგნიერების, წიგნიერების, ასევე სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარებას.

ნინო ცარციძე
სსიპ ვიქტორ ნოზაძის სახელობის
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მოძვის
საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების
წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 (მოქმედი რედაქცია);
2. კლდიაშვილი ა., ღაღანიძე ნ., ჯაყელი თ. (2012 წ), ხელოვნება, VIII კლასი. გამომცემლობა „კლიო“;
3. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, მეორე ნაწილი.

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი



~~9 ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

19 ლარი



19 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე გარამია

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40₾

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ასოციაცია „ზეკარი“ წარმოგიდგენთ
მასწავლებლის ბიბლიოთეკას

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 3 ლარი 80 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.